საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი
HEAD OF STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

№ 61875 15 / 04 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

**ბატონო შალვა,**

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ.

**დანართი:** 53 (ორმოცდაცამეტი) ფურცელი.

**პატივისცემით,**

სამსახურის უფროსი **გრიგოლ ლილუაშვილი**

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-4764/22
15 04 2022 წ. ფურცელი

საქართველო, ქ. თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72, ტელ. (+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
72, Vazha-Pshavela Avenue, Tbilisi 0186, Georgia, Tel.(+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
info@ssg.gov.ge

# საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

## 2021 წელი

# წინასიტყვაობა

საქართველოსა და ჩვენ გარშემო არსებული უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყანაში მშვიდობიანი, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ურთულესი ამოცანაა და გრძელვადიან სტრატეგიაზე დაფუძნებულ კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დაცვა.

ანგარიშში წარმოგიდგენთ 2021 წელს განვითარებული უსაფრთხოების პროცესების მიმოხილვას და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ გატარებულ ღონისძიებებს და საქმიანობას.

2021 წელს რუსეთის ფედერაციამ, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით, განაგრძო ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკის წარმოება. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ მიმდინარეობდა საოკუპაციო ძალების უკანონო სამხედრო წვრთნები, გრძელდებოდა საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები და ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებს კვლავ არ ეძლეოდათ ადგილზე შესვლისა და მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიმართული იყო საქართველოში არასტაბილური გარემოს შექმნისკენ, რაც თავის მხრივ აზიანებდა ქვეყანის იმიჯს და აფერხებდა ეკონომიკური განვითარების პროცესს.

საქართველოსთვის კვლავ გამოწვევად რჩებოდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების საქმიანობა და მათი მხრიდან ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის მცდელობები. აქტიურად გამოიყენებოდა ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტები საქართველოზე ზეგავლენის ბერკეტების მოსაპოვებლად. კვლავ აქტუალური იყო საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიების წარმოება.

2021 წლის განმავლობაში ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ტერორიზმიდან და ძალადობრივი ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხეები. საანგარიშო პერიოდში საქართველოში თავდასხმები არ დაფიქსირებულა, თუმცა ადგილი ჰქონდა ექსტრემიზმთან დაკავშირებულ ცალკეულ გამოვლინებებს.

ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა მჭიდრო და ღირებულ თანამშრომლობას საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეებისა და მეგობარი სახელმწიფოების კოლეგა უწყებებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2021 წელს შეუფერხებლად მიმდინარეობდა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ეროვნულ დონეზე კოორდინაცია და ინფორმაციის გაზიარება. ასევე, მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია.

საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, სამსახური მოქმედებდა კანონის უზენაესობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, თანაზომიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპით.

დაკისრებული უფლებამოსილების სათანადოდ შესასრულებლად, სამსახურის ძალისხმევა, ასევე, მიმართული იყო ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და მდგრადი განვითარებისკენ.

ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა. მსურს, უწყების თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოსა და იმ თავდადებისთვის, რასაც ისინი ყოველდღიურად იჩენდნენ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის პროცესში.

**გრიგოლ ლილუაშვილი**
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი

## სარჩევი


ოკუპირებული ტერიტორიები ..... 6

*ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაცია* ..... 6

*ანექსიისკენ მიმართული პროცესები* ..... 6

*ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები* ..... 8

*დე ფაქტო რეჟიმებისა და საოკუპაციო ძალების უკანონო აქტივობები* ..... 9

*საერთაშორისო მექანიზმები* ..... 12

*საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა* ..... 13

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა ..... 14

*უსაფრთხოების გარემოს დაზიანებისა და დესტაბილიზაციის მცდელობები* ..... 19

*უსაფრთხოების გარემოს დაზიანება და დესტრუქციული ქმედებები* ..... 19

*დესტაბილიზაციის მცდელობები* ..... 20

*დეზინფორმაცია და „ჰიბრიდული ომის" სხვა საფრთხეები* ..... 21

*დეზინფორმაცია და პროპაგანდა* ..... 21

*ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები* ..... 23

*კიბერუსაფრთხოება* ..... 25

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ..... 26

*საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება* ..... 26

*საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა* ..... 28

*საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები* ..... 29

*საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო თავდასხმის განხორციელების მცდელობა* ..... 30

*სირია-ერაყის ტერიტორიაზე მყოფი, „დაეშის" და „ალ-კაიდას" რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა* ..... 30

*უცხოელი ტერორისტი მებრძოლების, ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოში შესაძლო შემოსვლის, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენების მცდელობა* ..... 31

*ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესაძლო დაფინანსება ან სხვაგვარი დახმარების გაწევა* ..... 31

*ტერორისტული ორგანიზაციების/მათთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება* ..... 32

*სისხლის სამართლის საქმეები* ..... 32

*ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია* ..... 32

სპეციალური ოპერაციების ძალები ..... 33

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ..... 34

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა ..... 36

პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ..... 38
*პერსონალურ მონაცემთა დაცვა* ..... 38
*ზედამხედველობა* ..... 40
*საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა* ..... 41
საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია ..... 42
*საერთაშორისო თანამშრომლობა* ..... 42
*უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია* ..... 47
მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება ..... 50
*ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება* ..... 50
*სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი* ..... 52
*მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები* ..... 53

# ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის ძირითად საფრთხეს კვლავ წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია. 2021 წელს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ რჩებოდა უკანონოდ განლაგებული რუსული მძიმე შეიარაღება და სამხედრო კონტინგენტი, ადგილზე მიმდინარეობდა ინტენსიური სამხედრო წვრთნები და მილიტარიზაციის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ გრძელდებოდა ოკუპირებული რეგიონების ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკა.

2021 წლის განმავლობაში, ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე, კვლავ მძიმე იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა, გრძელდებოდა მათი ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა.

## *ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაცია*

ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსულ სამხედრო შემადგენლობასთან ერთად, აქტიურად მოქმედებდნენ რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამსახურები - თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველო, უსაფრთხოების ფედერალური სამსახური და საგარეო დაზვერვის სამსახური.

2021 წელს მაღალი ინტენსივობით მიმდინარეობდა საოკუპაციო ძალების სამხედრო წვრთნები. რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზების ქვედანაყოფებმა, არსებული მონაცემებით, სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის 125-ზე მეტი სწავლება ჩაატარეს. გარდა ამისა, ხსენებულ ბაზებზე ხორციელდებოდა გეგმური როტაციები, შეიარაღებისა და სამხედრო-ტექნიკური საშუალებების განახლება.

აღნიშნულის ფონზე, კვლავაც განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო რუსეთის საოკუპაციო ძალების პოლიტიკა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებს ოკუპირებულ რეგიონებში შესვლისა და მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას არ აძლევდა.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ წარმოდგენილი რუსული სამხედრო კონტინგენტისა და სპეცსამსახურების აქტივობები საფრთხეს უქმნიდა საქართველოსა და რეგიონის უსაფრთხოებას.

## *ანექსიისკენ მიმართული პროცესები*

საანგარიშო პერიოდში რუსეთის ფედერაციამ განაგრძო ანექსიის პროცესი. აღნიშნული გამოიხატებოდა დე ფაქტო ხელისუფლებებთან სხვადასხვა მიმართულებით ე.წ. შეთანხმებების ხელმოწერაში, საოკუპაციო რეჟიმებისა და რუსეთის ფედერაციის

ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებსა და დე ფაქტო რეჟიმების მიერ მიღებულ ე.წ. საკადრო გადაწყვეტილებებში.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა 2021 წელს რუსეთთან „თავდაცვისა და უსაფრთხოების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სივრცის“ შექმნისა და ამ კუთხით „ინტეგრაციის“ მხარდამჭერი რამდენიმე განცხადება გააჟღერა. აქტიურად განიხილებოდა „ფსოუს გამშვებ პუნქტზე“ მოძრაობის ე.წ. რეგულაციების გამარტივების, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის ოკუპირებულ რეგიონში უძრავი ქონების შეძენის „ლეგალიზებისა“ და სხვა საკითხები. ყოველივე აღნიშნულს, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ „სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის“ დათმობა უწოდა.

2021 წელს კრემლი აქტიურად ცდილობდა ოკუპირებული აფხაზეთის ენერგეტიკაში საკუთარი გავლენის გაზრდას. ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკის ნაწილი იყო ოკუპირებული აფხაზეთის ენერგეტიკის სფეროში მსხვილი რუსული ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობის შესახებ დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებები.

გასულ წელს რამდენჯერმე წამოიჭრა ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური რუსების „პოლიტიკურ პროცესებში“ მონაწილეობის საჭიროების საკითხი, მათ შორის, „რუს თანამემამულეთა ორგანიზაციების“ კონსოლიდაციის გზითაც.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა სახიფათო ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ცალკეულმა წარმომადგენლებმა ოკუპირებულ რეგიონში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კრიტიკულად შეზღუდვა განიზრახეს. აღნიშნული მიზნად ისახავდა ოკუპირებული რეგიონის იზოლაციას და ადგილზე ანექსიური პროცესების განხორციელების გამარტივებას.

2021 წელს კვლავ განიხილებოდა ოკუპირებული გაგრის რაიონის სოფელ აიბღას „რუსეთისთვის მიკუთვნების“ საკითხი. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ცდილობდა აღნიშნული საკითხისთვის აქტუალობის დაკარგვას და კონკრეტიკის გარეშე აცხადებდა, რომ ხსენებულ მონაკვეთზე რუსეთის ფედერაციას „ტერიტორიული პრეტენზიები“ არ აქვს.

მნიშვნელოვან საფრთხედ რჩებოდა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ანექსიის საკითხი, ვინაიდან ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო რეჟიმი კვლავ ღიად უჭერდა მხარს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას. საოკუპაციო ძალა ოკუპირებული ცხინვალის ანექსიის საფუძვლად „ერთიანი ოსეთის“ გამოგონილ ცნებას იყენებს, რაც ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასა და ოკუპირებულ ცხინვალში მცხოვრები მოსახლეობის ე.წ. გაერთიანებას გულისხმობს.

ანექსიის ჭრილშია განსახილველი, რუსეთის ფედერაციისა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილი „ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი“. 2021 წელს რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროდან

ოკუპირებულ ცხინვალში „მივლენილ თანამშრომლებს“ გამოკითხვის, პიროვნების იდენტიფიკაციისა და ცნობების მოძიების უფლება მიენიჭათ.

საანგარიშო პერიოდში, რუსეთის პრეზიდენტმა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონთან „ორმაგი მოქალაქეობის შესახებ“ ე.წ. შეთანხმების პროექტი დაამტკიცა. ამასთან, ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები, „სამხედრო-სავალდებულო სამსახურს“ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაივლიან და „მეორე მხარის“ ე.წ. გაწვევისგან თავისუფლდებიან.

ანექსიის პოლიტიკის პრიზმაშია განსახილველი საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მაღალი ფინანსური დამოკიდებულება რუსეთის ფედერალურ ბიუჯეტზე. არსებული მონაცემებით, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტის დაახლოებით 50%-ს (69 472 492 აშშ დოლარი), ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ბიუჯეტის დაახლოებით 83%-ს (84 898 637 აშშ დოლარი) რუსეთის ფედერაცია აფინანსებს.

## *ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები*

2021 წელს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე ე.წ. შიდაპოლიტიკური პროცესები მოსკოვის ჩარევით ვითარდებოდა. ადგილზე მოქმედი ე.წ. პარტიები თუ გაერთიანებები მკვეთრად პრორუსულ განწყობებს ინარჩუნებდნენ. რუსეთის მიერ, ასევე, სრულად კონტროლდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ე.წ. საკვანძო/სტრატეგიული უწყებები და სფეროები (ე.წ. საზღვრის დაცვა, ე.წ. საბაჟო, „სამართალდამცავი უწყებები“, ე.წ. თავდაცვის სამინისტროები და ა.შ.).

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ე.წ. ხელისუფლებას ძირითადად აკრიტიკებდნენ კორონავირუსთან არაეფექტიანი ბრძოლის, ეკონომიკისა და ენერგეტიკის სფეროებში არსებული გამოწვევების (ძირითადად, კრიპტოვალუტის მაინინგი), კორუფციის, კრიმინალის მაღალი დონისა და ზოგადად, უუნარო ე.წ. მმართველობის გამო.

ე.წ. ოპოზიციის სასარგებლოდ დასრულდა პროტესტი ე.წ. საგარეო პოლიტიკის კონცეფციასთან დაკავშირებით, რომლის შედეგად, ე.წ. კონცეფციიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი „ცენტრალურ ხელისუფლებასთან მრავალდონიანი მოლაპარაკების“ შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

| |
|---|
| მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ მოვლენებს თან სდევდა ქუჩაში გამოსვლის შესახებ ხმამაღალი მოწოდებები და საპროტესტო აქციები, ე.წ. ოპოზიციამ რეალურ შედეგს ვერ მიაღწია, რადგან არ ჰქონდა მოსკოვის მხარდაჭერა და იმავდროულად მოსახლეობაშიც არ იყო სათანადო საპროტესტო მუხტი. |

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, 2020 წელს დაწყებული ე.წ. პოლიტიკური კრიზისი 2021 წელსაც გაგრძელდა. აღნიშნული რამდენიმე ეტაპად განვითარდა და შესაძლოა, დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად:

1. ე.წ. დროებითი დაკავების იზოლატორში გარდაცვლილი **ინალ ჯაბიევის** საქმის გარშემო არსებული პროტესტი;
2. ე.წ. პარლამენტის ბოიკოტირება „ოპოზიციონერი დეპუტატების“ მხრიდან;
3. „მმართველი“ პარტიის მიერ ე.წ. ბიუჯეტისა და ე.წ. მთავრობის „პარლამენტის რეგლამენტის დარღვევით დამტკიცება“.

ხაზგასასმელია, რომ მოსკოვი აღნიშნულ პროცესებში ე.წ. მმართველ ძალას უჭერდა მხარს. ოკუპირებულ ცხინვალში ჩასულმა რუსულმა დელეგაციამ ე.წ. ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშემშლელ მიზეზად ე.წ. პარლამენტის საქმიანობის პარალიზება დაასახელა და ე.წ. დეპუტატებს „სამართალშემოქმედებითი“ საქმიანობის გაგრძელებისკენ მოუწოდა.

საანგარიშო წლის მეორე ნახევარში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლებსა და „ოპოზიციას“ შორის დაპირისპირება საოკუპაციო ხაზის ე.წ. დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხის გამო გამწვავდა. ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა **ანატოლი ბიბილოვი** ოკუპირებული რეგიონის ე.წ. ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასა და 200 კმ$^2$-ის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისთვის დათმობის მცდელობაში დაადანაშაულეს.

| |
|---|
| მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ოპოზიციონერი დეპუტატები გარკვეული „პოლიტიკური წინააღმდეგობების“ გაწევას ახერხებდნენ, მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ აღნიშნულმა ძალებმა, რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერის გარეშე, რეალური ცვლილებები ვერ განახორციელეს. |

## *დე ფაქტო რეჟიმებისა და საოკუპაციო ძალების უკანონო აქტივობები*

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა უკანონო დაკავებები, უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, დეზინფორმაციული კამპანიები და უსაფრთხოების გარემოს დამაზიანებელი სხვა აქტივობები.

2021 წელს საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან არაერთი დეზინფორმაციული განცხადება გავრცელდა. მათი დიდი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კორონავირუსთან დაკავშირებით არსებული ვითარების მაქსიმალურად კრიტიკულად წარმოჩენას ისახავდა მიზნად. ცალკეულ შემთხვევებში, ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებდნენ, თავი შეეკავებინათ ვაქცინაციის მიზნით საოკუპაციო ხაზის კვეთისგან. გამოგონილი ბრალდებები ისმოდა რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მიმართულებით, თითქოს ლაბორატორია ბიოლოგიური იარაღის შემუშავებით იყო დაკავებული.

დეზინფორმაციული კამპანიის სამიზნე გახდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩატარებული მრავალეროვნული სამხედრო სწავლებებიც, რომლებიც საოკუპაციო ძალების მიერ რეგიონში დესტაბილიზაციის წყაროდ გამოცხადდა.

დამაზიანებელი დეზინფორმაცია გავრცელდა ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების ჯანდაცვის პროგრამის შესახებ. აღინიშნა, თითქოს თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამკურნალოდ გადმოსულთა უმეტესობა არასათანადო სამედიცინო სერვისების გამო იღუპებოდა.

| |
|---|
| დე ფაქტო რეჟიმების მიერ გავრცელებული დეზინფორმაციული განცხადებები რუსული ე.წ. საინფორმაციო ომის ნაწილია და ადგილობრივი მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენს. მათი ძირითადი მიზანი ცენტრალური ხელისუფლების დისკრედიტაციაა. |

საოკუპაციო ძალები აქტიურად განაგრძობდნენ უკანონო დაკავებებსა და უკანონო ე.წ. ბორდერიზაციას, რომლის მთავარ მიზანს მოსახლეობაში დაუცველობის განცდის გაღვივება, სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია და საზოგადოებაში ნიჰილიზმის გავრცელება წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების მიერ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მხრიდან ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებთ - 11, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით - 70 უკანონო დაკავების ფაქტი დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევით, ე.წ. საპატიმრო დაწესებულებაში ერთწლიანი ყოფნის შემდეგ, 2021 წლის 14 ივლისს უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა **ზაზა გახელაძე,** რომელსაც უკანონოდ 12 წელი და 6 თვე ჰქონდა „მისჯილი“.

2021 წლის დასასრულს უკანონო პატიმრობაში, საერთო ჯამში, საქართველოს 7 მოქალაქე იმყოფებოდა, მათ შორის **ირაკლი ბებუა**, რომელსაც საოკუპაციო რეჟიმმა თავისუფლება უკანონოდ, 9 წლით „აღუკვეთა“. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობს მის ხელთ არსებული ყველა ფორმალური თუ არაფორმალური მექანიზმისა და სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებას, განსაკუთრებით, საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის კონცენტრაციას, რათა უმოკლეს ვადებში მიაღწიოს უკანონო პატიმრობაში მყოფი პირების უპირობო გათავისუფლებას.

სამწუხაროდ, უკანონო დაკავებები რიგ შემთხვევაში ფატალური შედეგით სრულდება, რაც ნათლად წარმოაჩენს ოკუპაციის თანმდევი პროცესების არაჰუმანურ და დანაშაულებრივ არსს. 2021 წლის ნოემბერში ცენტრალურ ხელისუფლებას გადმოეცა **გენადი ბესტაევი,** რომელიც ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესებამდე უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, რასაც შემდგომში მისი გარდაცვალება მოჰყვა.

საოკუპაციო რეჟიმების უკანონო პატიმრობაში დაღუპული **ირაკლი კვარაცხელიას** და **დავით ბაშარულის,** ასევე საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული **არჩილ ტატუნაშვილისა** და **გიგა ოთხოზორიას** საქმეების მიმართ სამართლის აღსრულება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება, რაც ოკუპირებულ რეგიონებში დაუსჯელობის სინდრომს ქმნის და ახალისებს დანაშაულებრივ

ქმედებებს. საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა პირი წარსდგება მართლმსაჯულების წინაშე.

| |
|---|
| საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ ჩადენილ ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე სრული პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება.<br><br>ამ კონტექსტში, ხაზგასასმელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალად რუსეთის ფედერაციას განსაზღვრავს და იქ მომხდარ ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებზე პასუხისმგებლობას სწორედ მოსკოვს აკისრებს. |

2021 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის 9, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 130 შემთხვევა დაფიქსირდა. უკანონო აქტივობები გამოიხატა როგორც ახალი მავთულხლართების გავლებაში, ისე ძველი მავთულხლართებისა და ღობეების განახლებაში, ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულებისა და მიწათხრილების მოწყობაში, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერებისა და საგუშაგოების უკანონოდ აღმართვაში.

ვითარება კვლავ დაძაბული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ, სადაც საოკუპაციო ძალის დესტრუქციული ქმედებების გამო კრიზისი 2019 წლის აგვისტოში წარმოიქმნა და საოკუპაციო ძალების არაკონსტრუქციული მიდგომების გამო, მისი მოგვარებისკენ ნაბიჯები ვერ იდგმება. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საანგარიშო პერიოდში გამართულ როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების (GID), ისე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატში გამართული შეხვედრებისას, სოფელ ჩორჩანის კრიზისის დარეგულირებისთვის მუშაობის მზაობა არაერთხელ დააფიქსირეს, თუმცა აღნიშნულს შემხვედრი ნაბიჯები არ მოჰყოლია.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტები 2019 წლის სექტემბერიდან არის ჩაკეტილი, რამაც რეგიონის სრული იზოლაცია გამოიწვია. რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებას, საოკუპაციო ხაზი 2020 წლის მარტიდან 2021 წლის 5 ივლისამდე, ასევე ცალმხრივად, საოკუპაციო ძალის მიერ იყო დაკეტილი. დროის აღნიშნულ მონაკვეთში საოკუპაციო ხაზის კვეთის შესაძლებლობა, ე.წ. ნებართვის მქონე, მხოლოდ გარკვეული კატეგორიისა და საჭიროებების მქონე პირებს ეძლეოდათ (ხანდაზმულები, პენსიონერები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და სხვა).

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის დაკეტვამ ადგილობრივი მოსახლეობა აიძულა, საოკუპაციო ხაზის ფარულად კვეთის მიზნით, მდინარე ენგურზე შემოვლითი მარშრუტებით ესარგებლა, რასაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად წარმოაჩენს უკანონო დაკავებების, ე.წ. ბორდერიზაციისა და თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული უკანონო შეზღუდვების უკიდურესად დამაზიანებელ შედეგებს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ ფიქსირდებოდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაციის პრობლემა, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, რეგიონების რუსიფიკაციისა და მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლის, მათი ასიმილაციისკენ მიმართული პოლიტიკა.

კვლავ გრძელდებოდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველი მოსახლეობის ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და უკან დაბრუნების გამორიცხვის მიზნით, მათი სახლების განადგურება. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, სოფელ ერედვში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ნასახლარებზე ნაგავსაყრელის ამოქმედება.

## *საერთაშორისო მექანიზმები*

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ოკუპაციასთან დაკავშირებული საფრთხეები და გამოწვევები მწვავედ განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა (GID) და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გამართული შეხვედრებისას. საოკუპაციო რეჟიმის დესტრუქციული მიდგომებიდან გამომდინარე, ოკუპირებული გალის მიმართულებით IPRM-ის მექანიზმის აღდგენა კვლავ ვერ მოხერხდა. შეხვედრები ქ. გალში 2018 წლის ივნისის შემდეგ აღარ ჩატარებულა.

საანგარიშო პერიოდში, აქტიურად მიმდინარეობდა კომუნიკაცია „ცხელი ხაზის" მეშვეობით, რომელიც კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, გაიმართა IPRM-ის ექვსი და მის ფარგლებში დაგეგმილი ორი ტექნიკური შეხვედრა.

IPRM-ის თითოეულ შეხვედრაზე კატეგორიულად იქნა მოთხოვნილი რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებელი და უპირობო გათავისუფლება. ამასთან, ყურადღება გამახვილდა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის შეწყვეტის, თავისუფალი გადაადგილების აღდგენისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) უშუალო ჩართულობით მოქმედი „ცხელი ხაზი" აქტიურად გამოიყენებოდა, როგორც ინციდენტების განმუხტვისა და საფრთხეების თავიდან აცილების ინსტრუმენტი. აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო ძალების მხრიდან შეინიშნებოდა მისი დაზიანების მცდელობები. საოკუპაციო რეჟიმებმა, ნაცვლად ინციდენტების

პრევენცია/გადაჭრაზე ორიენტირებისა, მექანიზმი არაერთხელ გამოიყენეს პოლიტიკური საკთხების განხილვისა და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებების გაჟღერებისთვის. ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან იდგმებოდა კონსტრუქციული და კომპლექსური ნაბიჯები.

„ცხელი ხაზი“ საანგარიშო პერიოდში 2 197-ჯერ გააქტიურდა: 1 747-ჯერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის, ხოლო 450-ჯერ - ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების ოთხი, 52-ე, 53-ე, 54-ე და 55-ე რაუნდები გაიმართა, რომლებზეც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა საქართველოს რეგიონების ოკუპაციის შედეგად არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებსა და საფრთხეებზე, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე. განსაკუთრებული ყურადღება უკანონო დაკავებებსა და ე.წ. ბორდერიზაციის პროცესზე გამახვილდა.

## *საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა*

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა ეფექტიან და ნაყოფიერ თანამშრომლობას საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM), რომელიც საქართველოში მოქმედ ერთადერთ სადამკვირვებლო მისიას წარმოადგენს და სახელმწიფო უწყებებთან ერთად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საგულისხმოა, რომ მისიის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, თუმცა მისი წარმომადგენლები კვლავ ვერ ახერხებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც ხსენებულ რეგიონებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალას.

ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), ასევე, ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლებთან. ხაზგასასმელია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობა ჰუმანიტარულ საკითხებში, მათ შორის ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ პირთათვის გადაუდებელი სამედიცნო დახმარებისა და მათი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანის მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია ხსენებული ორგანიზაციის ჩართულობით 90-იანი წლების კონფლიქტისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ თუ დაღუპულ პირთა მოძიების კუთხით გაწეული მუშაობა, რომლის ფარგლებშიც, საანგარიშო პერიოდში, „სამმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის შეხვედრა“ გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, მათი მაქსიმალურად განეიტრალებისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის გააქტიურებული პროცესებისთვის ხელის შეშლის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ეფექტურად თანამშრომლობდა და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს. ამასთან, ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმირების მიზნით, მანდატის ფარგლებში, მართავდა შეხვედრებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს თანამდებობის პირებთან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

## სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

უსაფრთხოების თვალსაზრისით, 2021 წელი კომპლექსური, სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული პროცესებითა და მკვეთრად გაზრდილი საფრთხეებით იყო დატვირთული. 2021 წელს რუსეთის ფედერაციამ მნიშვნელოვნად გააქტიურა ძალისხმევა მეზობელი ქვეყნების მიმართ საკუთარი ექსპანსიური პოლიტიკის გასატარებლად. აღნიშნული, მათ შორის, გამოიხატებოდა როგორც რეგიონის ქვეყნების საზღვრებთან ან/და უშუალოდ მათ ტერიტორიებზე ინტენსიური სამხედრო წვრთნების ჩატარებაში, ისე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ღია განცხადებებსა და რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა საკითხის გარშემო გაჟღერებულ ულტიმატუმებში.

2021 წლის მიწურულს უკრაინასთან დაკავშირებით შექმნილმა ვითარებამ არსებითად დააზიანა რეგიონის უსაფრთხოების გარემო. რუსეთი აქტიურად ცდილობდა, მაქსიმალურად გაეძლიერებინა სამხედრო პოზიციები შავი ზღვის რეგიონში და სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებით, რეგიონზე მოეპოვებინა მყარი, გრძელვადიანი ბერკეტები. აღნიშნულმა დამატებითი გამოწვევები შექმნა საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

საანგარიშო პერიოდში საქართველოსა და რეგიონის უსაფრთხოების გარემოსთვის გამოწვევად რჩებოდა საქართველოს ორ მეზობელ ქვეყანას, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის პერიოდულად მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირებები.

| |
|---|
| რეგიონში შექმნილი ვითარებისა და აღნიშნულის ფონზე, მომეტებული საფრთხეების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უწყვეტ რეჟიმში ახდენდა ქვეყნის ტერიტორიაზე ოპერატიული ვითარების კონტროლს.<br><br>მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებთან. მათთან კომუნიკაციით, უსაფრთხოების საკითხებზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ეყრდნობოდა რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების შეფასებას და ანალიზს. საქართველოს ხელისუფლების შესაბამის |

გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უწყვეტად მიეწოდებოდათ ინფორმაცია უსაფრთხოების მიმართულებით შესაძლო პროცესების განვითარებისა და მათი შედეგების თაობაზე.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა, კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოსილების ფარგლებში, მოიცავდა იმ საფრთხეების გამოვლენას, პრევენციასა და აღკვეთას, რომლებიც მიმართული იყო საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, სამხედრო პოტენციალის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების ხელყოფისკენ. აღნიშნულ პროცესში სამსახურის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების, მათი ეგიდით მოქმედი ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა დამაზიანებელი ქმედებებისგან სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვა და საზოგადოების მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში თანაცხოვრების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად განაგრძობდა ცალკეული ქვეყნების სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მტრული და დესტრუქციული ქმედებებისა და მცდელობების, პროვოკაციული ღონისძიებებისა და გეგმების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას, მათთან შესაძლო კავშირში მყოფი და აღნიშნულ პროცესებში ჩართული ძალებისა თუ ცალკეული პირების დადგენას და მათგან მომდინარე კანონსაწინააღმდეგო აქტივობების პრევენცია-აღკვეთას.

საანგარიშო პერიოდში, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, საფრთხეების გამოვლენა-პრევენციის მიზნით გატარებული ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად, სამსახურის მიერ გამოვლინდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დაინტერესების სფეროები და მისწრაფებები. მათი სადაზვერვო საქმიანობის მეთოდებისა და ფორმების გამოვლენის მიზნით აქტიურად ტარდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებები.

მიმდინარეობდა საფარქვეშ მოქმედი უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების წარმომადგენელთა, ასევე მათთან შესაძლო კავშირში მყოფი პირების და ჯგუფების გამოვლენა-დადგენა, მათი საქმიანობის შესწავლა და შეზღუდვა.

აღნიშნული საქმიანობის შედეგად, საქართველოში დიპლომატიური საფარით მოქმედმა და მათთან კავშირზე მყოფმა პირებმა დატოვეს ქვეყანა, ხოლო გარკვეული ნაწილის მიმართ, ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვის მიზნით, გამოყენებულ იქნა სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები.

2021 წელს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თითქმის ყველა ასპექტი, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დეტალები, სამხედრო საკითხები, პოლიტიკური ძალებისა და მათი ლიდერების საქმიანობა, ეკონომიკური პროექტები, საკანონმდებლო რეფორმები,

საზოგადოებისა და საექსპერტო წრეების განწყობები, მიგრაციული პროცესები და სოციალური თემები.

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები აქტიურ ინტერესს იჩენდნენ თავდაცვის სფეროში მიმდინარე აქტივობების, არსებული ვითარებისა და სამომავლო გეგმების მიმართ. აღნიშნული, მათ შორის, უკავშირდებოდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და თავდაცვის სისტემების ნატოს სტანდარტებთან მიახლოების პროცესს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კანონმდებლობის შესაბამისად, უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სხვა ძალოვანი უწყებების კონტრდაზვერვით უზრუნველყოფას მათ წინააღმდეგ მიმართული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციის მიზნით. ოპერატიული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი პირების მიმართ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები უცხო ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან მათი შესაძლო კავშირის დადგენის, ასევე, მათი მხრიდან ანტისახელმწიფოებრივი და დესტრუქციული ქმედებების თავიდან აცილების მიზნით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანოებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის სუბიექტებზე საიდუმლოებისა და უსაფრთხოების რეჟიმის დაცვა. საანგარიშო წლის განმავლობაში, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე, სხვა ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე, სამსახური ახორციელებდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებებსა და შესაბამის კოორდინაციას.

სარეჟიმო ობიექტებზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სამსახური უზრუნველყოფდა კონტრსადაზვერვო ძიების წარმოებას, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მხრიდან ობიექტზე აგენტურის შესაძლო ჩანერგვის, ტექნიკური შეღწევისა და სხვა ნეგატიური ქმედებების გამოვლენას, თავიდან აცილებას და აღკვეთას. სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტებისთვის სამსახური წინსწრებით მოიპოვებდა ინფორმაციას და გასცემდა შესაბამის პრევენციული სახის რეკომენდაციებს. ამასთან, სისტემატურად მიმდინარეობდა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

2021 წელს შეუფერხებლად მიმდინარეობდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვებისა და სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვებისათვის სანდოობისა და საიმედოობის დასადგენად სპეციალური ღონისძიებების გატარება. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება გაიცა 133 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე, ხოლო 14 მათგანს, გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის საფუძველზე, უარი ეთქვა აღნიშნული ნებართვის მიღებაზე.

ამავე დროს, წლის განმავლობაში, საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება განხორციელდა 58 ორგანიზაცია-დაწესებულებაში. 5 274 ფიზიკურ პირზე განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების შემოწმების პროცედურა.

უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დესტრუქციული ქმედებები ასევე მიმართული იყო ეკონომიკურ პროცესებში ჩარევისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების შეფერხებისკენ. ცალკეული სახელმწიფოები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პროექტებით, განაგრძობდნენ რეგიონზე ეკონომიკური ბერკეტების მოპოვება-განმტკიცების მცდელობებს. საანგარიშო პერიოდში სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო მსგავსი პროცესების პრევენციისა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ.

2021 წელს სამსახური აქტიურად აგრძელებდა უსაფრთხოების ჭრილში სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების ანალიზს, მათთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კონტროლზე იყო აყვანილი საქართველოზე ეკონომიკური ბერკეტების მოპოვებით დაინტერესებულ გარე ძალებთან შესაძლო კავშირში მყოფი კომპანიების საქმიანობა. გამოვლინდა ცალკეული ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობის განსახორციელებლად ადგილობრივი ბაზრის მონოპოლიზების მცდელობები.

გასული წლების მსგავსად, სამსახურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოებას და ამ მიმართულებით, სათანადო ღონისძიებების გატარებას. მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა სასაზღვრო ტექნოლოგიების, მათ შორის, დაკვირვების ელექტრონული სისტემების შემდგომი განვითარების კუთხით.

2021 წელს, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, სამსახურის მმართველობაში შემავალი სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ბაზაზე შეიქმნა მულტისენსორული სისტემების მომსახურების ცენტრი, რომლის მიზანია მულტისენსორული სისტემების ტექნიკური მომსახურება და პროგრამული გამართვა. ასევე, განხორციელდა სახელმწიფო საზღვრის ცალკეული სექტორების მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფა.

ამასთან, საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრისთვის (JMOC) შეიქმნა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომლითაც ისარგებლებენ ცენტრის საქმიანობაში ჩართული სახელმწიფო უწყებები.

სასაზღვრო და უკანონო მიგრაციის კონტროლის მიმართულებით, 2021 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საჰაერო გადამზიდველის მიერ მგზავრის წინასწარი მონაცემის (API) და მგზავრის სახელის ჩანაწერის (PNR) მიწოდების სისტემის სატესტო რეჟიმიდან ოპერაციულ

რეჟიმში გადასვლა. აღნიშნული სისტემა შემუშავდა ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნათა გათვალისწინებით და მისი ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც ტერორიზმის, ისე სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას.

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა მიგრაციის არხების მონიტორინგი. კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახური ახორციელებდა საქართველოში შემოსვლის, მოქალაქეობისა და სხვადასხვა სახის ბინადრობის ნებართვის მოპოვების მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესაბამის შემოწმებას. მიმდინარეობდა აღნიშნული ნებართვების გაცემის მიზანშეწონილობის განსაზღვრა.

2021 წელს სამსახურმა საქართველოში სხვადასხვა სტატუსით ცხოვრების ნებართვის მინიჭების მიზანშეწონილობა განიხილა უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაახლოებით 30 000 საქმეზე. აქედან, დაახლოებით 20 000 საქმე უკავშირდებოდა სხვადასხვა ტიპის ბინადრობის ნებართვის მიღებას, ხოლო 10 000-მდე საქმე განხილული იყო საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით (მათ შორის, შენარჩუნება და აღდგენა).

იმავდროულად, ოპერატიული საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში მოქმედი ცალკეული ორგანიზაციებისა თუ პირების დახმარებით, სხვადასხვა უკანონო გარიგებებითა და ფიქტიური დოკუმენტებით, ცდილობდნენ საქართველოში ცხოვრების ნებართვის მიღებას. აღნიშნულ ფაქტებზე შემდგომი რეაგირებისთვის, სამსახური აქტიურ კოორდინაციაში იმყოფებოდა შესაბამის უწყებებთან.

ოპერატიული საქმიანობის პროცესში, უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებული ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა მომსახურების საფარქვეშ ცდილობდნენ საქართველოში უკანონო მიგრაციის არხების აწყობას. აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა შეიზღუდა, ხოლო მათი წევრები აყვანილ იქნენ სასაზღვრო კონტროლზე.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მასალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. მიმდინარეობდა აღნიშნულთან დაკავშირებული ოპერატიული ვითარების კონტროლი და გატარდა შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები. სახელმწიფო საზღვარზე რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სამსახური მუდმივ კოორდინაციას ახდენდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებთან.

2021 წელს სამსახურის შესაბამისი დანაყოფების მიერ აღკვეთილ იქნა რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობის ფაქტები. გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 2 საქმეზე და პასუხისგებაში მიეცა 2 პირი.

## *უსაფრთხოების გარემოს დაზიანებისა და დესტაბილიზაციის მცდელობები*

### *უსაფრთხოების გარემოს დაზიანება და დესტრუქციული ქმედებები*

საქართველოზე გავლენის ბერკეტების მოპოვება-გაძლიერებით დაინტერესებული გარე აქტორები საკუთარი იდეოლოგიური, რელიგიური და ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზებისთვის, სხვა რესურსებთან ერთად, იყენებდნენ მათდამი მატერიალური ან/და სხვა დაინტერესების გამო ლოიალურად განწყობილი საქართველოს მოქალაქეების შესაძლებლობებს, ასევე, საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მყოფ უცხოეთის მოქალაქეებს.

საანგარიშო წლის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, აქტიურად ტარდებოდა ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები. მოპოვებული ინფორმაციისა და ფაქტობრივ მასალათა საფუძველზე, სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა 2021 წელს გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 10 საქმეზე. სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 2 საქმეზე.

ამასთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია, ქვემდებარეობით, იგზავნებოდა სხვა საგამოძიებო უწყებებში, სადაც გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე.

საქართველოს უსაფრთხოების გარემოს დაზიანებით დაინტერესებული ძალები, საკუთარი აქტივობების განხორციელებისას, მიზნად ისახავდნენ საქართველოს ურთიერთობების დაზიანებას სტრატეგიულ პარტნიორებთან, საქართველოს, როგორც დემოკრატიული და სტაბილური ქვეყნის იმიჯის შელახვას, საზოგადოებრივ წესრიგში არეულობის შეტანას, შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევასა და მუდმივი დაძაბულობის ხელშეწყობას. მათი ქმედებები და დესტაბილიზაციის მცდელობები, ასევე, მიმართული იყო სახელმწიფო მმართველობის ფორმების ხელყოფისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების შეფერხებისკენ.

აღნიშნულით დაინტერესებული ძალები, სხვადასხვა მეთოდის, მათ შორის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის, ასევე ე.წ. რბილი ძალისა და ფარული ოპერაციების გამოყენებით, ცდილობდნენ საკუთარ ინტერესებს მორგებული მსოფლმხედველობის საზოგადოებაში გავრცელებას.

2021 წელს გამოიკვეთა დესტრუქციულ გარე აქტორებთან შესაძლო კავშირის მქონე პოლიტიკური ძალების სხვადასხვა ფორმით გააქტიურების ტენდენცია. აღნიშნული სუბიექტების მხრიდან, სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით (მათ შორის, სოციალური ქსელები, ვებგვერდები, ინტერნეტტელევიზია, ტელემაუწყებლობა), აქტიურად

მიმდინარეობდა პროდასავლური კურსის საწინააღმდეგო პროპაგანდა. ისინი ბოროტად იყენებდნენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებას და მიზანმიმართულად ეწეოდნენ დემოკრატიის დამაზიანებელი იდეოლოგიის გავრცელებას.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, გამოვლინდა უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან შესაძლო კავშირის მქონე ძალების მხრიდან საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი და რეზონანსული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვების და აღნიშნულ პროცესებში ჩართვის მცდელობები. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში არსებული მუხტის მათი ინტერესების შესაბამისად წარმართვა, მათ შორის ქვეყანაში სხვადასხვა დესტრუქციული პროცესების პროვოცირებისთვის.

ხშირ შემთხვევაში, მკვეთრად უტრირებული ფორმით გავრცელებული ინფორმაცია ცალკეული პროცესებისა თუ მოვლენების შესახებ, ემსახურებოდა მოსახლეობის დაშინებას, საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანას, ამა თუ იმ საკითხის გარშემო საკუთარი ინტერესების შესაბამისად პროტესტის ხელოვნურად გაღვივებას, პოლარიზაციის გაღრმავებას და ყოველივე აღნიშნულით, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის დამაზიანებელი პროცესების ხელშეწყობას.

## *დესტაბილიზაციის მცდელობები*

სიტუაციის მაქსიმალური ესკალაციისა და სხვადასხვა პროვოკაციული ქმედების ორგანიზებისთვის მიმდინარეობდა ცალკეული საკითხების (მათ შორის, უსაფრთხოებისა და სამართალდაცვის საკითხების) მიზანმიმართული პოლიტიზება. აღნიშნულის მიზანს ქვეყანაში მუდმივი შიდაპოლიტიკური დაძაბულობის ხელშეწყობა და საჭიროებისამებრ გამწვავება წარმოადგენდა.

ამ მხრივ, 2021 წელს, განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოში მოქმედი გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები და მათი ლიდერები. უსაფრთხოების გარემოს არსებითად აზიანებდა აღნიშნული ძალების დესტრუქციული და ძალადობრივი მოწოდებები, ასევე მცდელობები, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოების პოლარიზაციისკენ, სახელმწიფო უწყებების მუშაობის შეფერხების, დესტაბილიზაციის შექმნისა და ხელისუფლების დამხობისკენ.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო.

გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, გამოიკვეთა, რომ ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით დამხობის მიზნით, იგეგმებოდა დესტრუქციული ძალების მობილიზება, საავტომობილო გზების სხვადასხვა საშუალებით გადაკეტვა, სახელმწიფო უწყებების ბლოკირება და შტურმი. აქტიურად განიხილებოდა აღნიშნულ პროცესებში ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლების ჩართვა.

სამსახურის მიერ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, აღნიშნულ საქმეზე გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, რის შედეგადაც, თავიდან იქნა აცილებული ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით უფრო მწვავე, შეუქცევადი პროცესების განვითარება, რაც შესაძლოა, მათ შორის, გამოყენებული ყოფილიყო საქართველოსადმი მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ.

ამასთანავე, პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე, სამსახური პროაქტიულ რეჟიმში ახდენდა საზოგადოების ინფორმირებას კონკრეტული ჯგუფის რეალური გეგმებისა და მიზნების შესახებ.

## *დეზინფორმაცია და „ჰიბრიდული ომის" სხვა საფრთხეები*

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ცალკეული ქვეყნებისა და მათი სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული „ჰიბრიდული საფრთხეები". აღნიშნული აქტორები, საკუთარი გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, განაგრძობდნენ ე.წ. რბილი ძალის, ფარული ოპერაციების და ე.წ. საინფორმაციო ომის ინსტრუმენტების კოორდინირებულ და ხშირ შემთხვევაში, ერთობლივ გამოყენებას.

### *დეზინფორმაცია და პროპაგანდა*

2021 წელს კიდევ უფრო მასშტაბური გამოწვევის სახე მიიღო ცალკეული ქვეყნების მიერ წარმოებულმა ე.წ. საინფორმაციო ომმა. დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან დაკავშირებული საკითხები რიგ შემთხვევაში, მსოფლიო დონეზე, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დღის წესრიგსაც განსაზღვრავდა.

ცალკეულმა აქტორებმა კიდევ უფრო დახვეწეს საინფორმაციო ოპერაციებისა და ფსიქოლოგიური ზეგავლენის ტექნოლოგიები. დეზინფორმაციის გავრცელების მიმართულებით, ტრადიციულ მედიასაშუალებებთან ერთად, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ სულ უფრო აქტიურად გამოიყენებოდა სოციალური ქსელები და ცალკეული მობილური აპლიკაციები.

2021 წელს აღნიშნული დეზინფორმაციული კამპანიების მთავარ სამიზნეს კვლავ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხი წარმოადგენდა. ყალბი ამბებისა და გამოგონილი ისტორიების გავრცელებით, მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობაში ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორებისა და მოკავშირეების დისკრედიტების მცდელობები.

ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში, 2021 წელს კვლავ აქტუალური იყო მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხებით მანიპულირება, რომელსაც აქტიურად აწარმოებდნენ ცალკეული სახელმწიფოები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი პირები.

საანგარიშო წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა ე.წ. საინფორმაციო ომის ფარგლებში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი, აღნიშნულ კამპანიებში ჩართული პირებისა და ორგანიზაციების, ასევე, მათი დაფინანსების წყაროების გამოვლენა, სხვადასხვა აქტორებს შორის ურთიერთკავშირისა და გამოყენებული მეთოდების დადგენა, მოსალოდნელი რისკების შეფასება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

საქართველოს ტერიტორიაზე სამსახური ოპერატიულ რეჟიმში აკონტროლებდა იმ სუბიექტებს, რომლებიც მსგავს დეზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ აქტივობებს უწყობდნენ ხელს.

აღნიშნული საკითხის რთულად პროგნოზირებადი და მრავალმხრივი საფრთხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეროვნულ დონეზე მიმდინარეობდა აქტიური უწყებათაშორისი კოორდინაცია და აღნიშნული საფრთხეების სხვადასხვა გამოხატულების თაობაზე ინფორმაციის გაზიარება.

ამასთანავე, 2021 წელს კიდევ უფრო გააქტიურდა თავად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და ზოგადად, უსაფრთხოების სექტორის წინააღმდეგ წინა წლებში დაწყებული დეზინფორმაციული კამპანიები.

პოლიტიკურად დაინტერესებული და ანგაჟირებული პირები სამსახურის მისამართით ავრცელებდნენ აბსურდულ და დამაზიანებელ ბრალდებებს, მათ შორის, უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან პოლიტიკური ნიშნით თანამშრომლობისა და სამსახურის ხელმძღვანელი პირების უკანონო კომერციულ საქმიანობაში თითქოსდა მონაწილეობის შესახებ.

უწყების მიერ დასაბუთებული, იურიდიულ და ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებული ინფორმაციის არაერთგზის გავრცელების მიუხედავად, მიზანმიმართულად, წინასწარი შეცნობით მიმდინარეობდა ფაქტების დამახინჯება და სიცრუესა და სუბიექტურ მოსაზრებებზე აგებული, ყალბი ინფორმაციის ტირაჟირება მოსახლეობის განზრახ შეცდომაში შეყვანის მიზნით.

განსაკუთრებით დამაზიანებელი იყო 2021 წელს გავრცელებული ინფორმაცია ე.წ. ფარული მიყურადების შედეგად შექმნილი ე.წ. ფაილების შესახებ, სადაც წარმოდგენილი იყო მხოლოდ ტექსტური სახის დოკუმენტები. გამოძიების დასრულებამდე, სრულიად უაპელაციოდ, არაზუსტ და გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მტკიცებით ფორმაში გაჟღერებული ბრალდებები, ასევე, აღნიშნული საკითხის უკიდურესად პოლიტიზება და სამართლებრივი სივრციდან მიზანმიმართულად გატანა, ემსახურებოდა კონკრეტული პოლიტიკური ძალების სუბიექტურ პოლიტიკურ დღის წესრიგს.

კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს

საქართველოს პროკურატურასთან. სამსახურის ობიექტურ ინტერესს წარმოადგენს, ჩატარდეს კომპლექსური და სრულყოფილი გამოძიება და საზოგადოებას მიეწოდოს დადასტურებული ინფორმაცია.

ცალკეული სუბიექტებისა თუ პოლიტიკურად დაინტერესებული ძალების მიერ სამსახურის მისამართით დადგმული პერფორმანსები, მადისკრედიტებელი განცხადებები და მოწოდებები, ასევე, სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით გადაუმოწმებელი ინფორმაციების მტკიცებითი ფორმით გავრცელება ამკვიდრებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებით მანიპულირების სახიფათო ტენდენციას, რაც შესაძლოა, საკუთარი ინტერესების შესაბამისად, გამოყენებულ იქნას არაერთი უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების მიერ.

მსგავსი დესტრუქციული კამპანიები აზიანებს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემას და მასში წარმოდგენილ სუბიექტებს, ხელს უწყობს სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების მიმართ მოსახლეობის ინტერესის შემცირებას და, საბოლოო ჯამში, აფერხებს სახელმწიფოსა და ფართო საზოგადოების საერთო ძალისხმევას ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების კუთხით.

### *ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები*

საანგარიშო პერიოდში საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე არსებითად უარყოფით გავლენას ახდენდა ცალკეული ქვეყნების ე.წ. რბილი ძალის პოლიტიკა და მისი რეალიზების მცდელობები. უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები სხვადასხვა სახის სადაზვერვო ღონისძიებების განსახორციელებლად ცდილობდნენ აქტიურად გამოეყენებინათ საკუთარ ქვეყნებში მოქმედი პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფონდების შესაძლებლობები.

აღნიშნული ორგანიზაციების მეშვეობით, საქართველოზე გავლენის მოპოვებით დაინტერესებული სახელმწიფოები ცდილობდნენ მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინათ საქართველოში მათდამი ლოიალურად განწყობილ მოქალაქეებთან, კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, სტუდენტურ წრეებსა და სამოქალაქო აქტივისტებთან, ასევე ცალკეულ ექსპერტებთან, პოლიტოლოგებსა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. აღნიშნული კავშირებისთვის აქტიურად გამოიყენებოდა საკუთარ ან მესამე ქვეყნებში გამართული სხვადასხვა სემინარები, კონფერენციები, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ კონტროლზე იყო აყვანილი მსგავსი აქტივობები და საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარების მცდელობები. მიღებულ იქნა რიგი პრევენციული ზომები უცხო ქვეყნების მიერ საქართველოს წინააღმდეგ „ჰიბრიდული ომის“ ელემენტების გამოყენებით დაგეგმილი ღონისძიებების აღსაკვეთად.

სამსახურის ჩართულობით აღკვეთილ იქნა ცალკეული აქტორების მიერ ინიცირებული „ჰუმანიტარული” პროექტები. გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროექტების საშუალებით,

უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურები ცდილობდნენ საკუთარი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის პროპაგანდას, საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის შეგროვებას და პროცესებზე გავლენის მოსახდენად, შესაბამისი რესურსის გაზრდას.

სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, გამოვლინდა, ამ მიმართულებით, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დაინტერესების კონკრეტული სფეროები. დადგინდა საზღვარგარეთ მოქმედი ე.წ. დონორი ორგანიზაციები, რომლებიც, სავარაუდოდ, მხარს უჭერდნენ საქართველოში ორგანიზაციების დაარსებას და ხელს უწყობდნენ ანტიდასავლური პროპაგანდის წარმოებას.

2021 წელს, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, სამსახურმა გამოავლინა უცხო ქვეყნების მოქალაქეებით დაკომპლექტებული არაერთი ჯგუფი. გამოიკვეთა აღნიშნული ჯგუფების წევრთა დესტრუქციული მიზნები და ინტერესები. მათი საქმიანობის შეზღუდვის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად, გატარდა კომპლექსური ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, გამოიკვეთა სხვადასხვა სახის სოციოლოგიური კვლევები, რომლებიც, შესაძლოა, უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების ინტერესების შესაბამისად ყოფილიყო განხორციელებული. კვლევების მიზანს „ზეგავლენის ოპერაციებისთვის" სამიზნე ჯგუფების გამოვლენა და სხვადასხვა საკითხის გარშემო საზოგადოებრივი აზრის შესწავლა წარმოადგენდა.

კონკრეტული აქტორები განაგრძობდნენ ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ თუ სოციალურ ჯგუფზე იდეოლოგიური ზეგავლენის ბერკეტების მოპოვების მცდელობებს. აღნიშნულ პროცესში მათ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქეების ცალკეულ ჯგუფებში სახელმწიფოს საწინააღმდეგო განწყობების გაღვივება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი საზღვარგარეთ მსგავს საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციები და საქართველოში მათთან შესაძლო კავშირის მქონე სუბიექტები, რომლებიც შესაძლოა, ხელს უწყობდნენ შუღლისა და სეპარატისტული განწყობების გაღვივებას.

კანონდარღვევების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, ხორციელდებოდა ამ კუთხით მიმდინარე პროცესების კონტროლი და ანალიზი. ცალკეულ პირთა მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის, სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები.

2021 წელს სამსახურმა, წინმსწრებად მოპოვებული ინფორმაციისა და გატარებული ოპერატიული ღონისძიებების საფუძველზე, აღკვეთა ქვეყნისათვის დამაზიანებელი საქმიანობის განხორციელების მცდელობები, ხოლო ცალკეული სუბიექტების მიმართ გატარდა შესაბამისი კონტრზომები.

საანგარიშო პერიოდში, ცალკეული ჯგუფები განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ საქართველოს მოსახლეობისთვის სენსიტიური საკითხებით. მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი

მოვლენების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ინფორმაციის მოპოვება, ხოლო შემდგომ ცალკეული პროცესების მართვისა თუ მათში ნაწილობრივ ჩარევის გზით, ფსევდოპატრიოტული, დესტრუქციული პროცესების განვითარებისთვის ხელის შეწყობა.

2021 წელს ერთ-ერთ ასეთ საკითხად გამოიკვეთა საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რომლის თაობაზე მოსახლეობის პოლარიზების აქტიურ მცდელობებს გარე აქტორების მხრიდან სხვადასხვა წლებშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. დაინტერესებულმა ძალებმა საკითხის კრიტიკულ ნიშნულამდე გასამწვავებლად აქტიურად გამოიყენეს დეზინფორმაცია-პროპაგანდის, ფარული ოპერაციებისა და ე.წ. რბილი ძალის ინსტრუმენტები. აღნიშნული პროცესები ცალსახად გასცდა თვითორგანიზებულ სამოქალაქო პროტესტს და საფრთხე შეუქმნა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას.

### *კიბერუსაფრთხოება*

საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ფარული მოქმედებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და მათთან დაკავშირებული აქტორების მიერ განხორციელებული კიბერშეტევები და კიბერსადაზვერვო ოპერაციები. 2021 წელს საქართველოში აღნიშნული აქტორების სამიზნეს წარმოადგენდა კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, კერძოდ, სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელებისა და სერვისების მიწოდების პროცესში გამოყენებული ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები.

უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და მათთან დაკავშირებული ჯგუფების ძირითადი მიზანი იყო აღნიშნულ სისტემებში სუსტი მხარეების აღმოჩენა და სხვადასხვა სახის კიბეროპერაციების განსახორციელებლად მათი გამოყენება, მათ შორის, კრიტიკულად მნიშვნელოვანი სექტორების თუ ორგანიზაციების ფუნქციონირების შესაფერხებლად.

მსგავსი კიბერშეტევები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, მათ შორის, ფინანსური და ეკონომიკური მიმართულებით. გარდა ამისა, ასეთი ოპერაციები მიზნად ისახავს საზოგადოებაში მღელვარების გამოწვევასა და დაუცველობის განცდის დანერგვას.

საანგარიშო პერიოდში, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები, რომლის შედეგად, მკაფიოდ განისაზღვრა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის როლი და უფლებამოსილებები ქვეყნის კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ამ მიმართულებით, ყურადღება დაეთმო კიბერშეტევების წინააღმდეგ სამსახურის შესაძლებლობების ამაღლებას და სათანადო სამართლებრივი ბაზის სრულყოფას.

კიბერუსაფრთხოების სექტორის რეფორმირების ფარგლებში, შეიქმნა ზემოაღნიშნული ფუნქციის აღსრულებისთვის აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა, გატარდა სათანადო ინსტიტუციური და ორგანიზაციული სახის ღონისძიებები. ამასთან, ISO 27000

სტანდარტების ჯგუფის საფუძველზე, შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები, კომპიუტერული ინციდენტების კლასიფიცირების წესები, კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის საქმიანობის წესები და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2021 წელს, სამსახურის მმართველობაში შემავალი სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ბაზაზე შეიქმნა „სახელმწიფო ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების ცენტრი", რომელიც უზრუნველყოფს კიბერინციდენტების მონიტორინგის ერთიანი ქსელური სისტემის შექმნას და ფუნქციონირებას. აღნიშნული ცენტრი განახორციელებს გამოვლენილ კიბერინციდენტებზე რეაგირებას და შესაბამისი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების დახმარებას, კიბერ შეტევების მოგერიებას და მავნე შედეგების მინიმიზებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

# ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

2021 წლის განმავლობაში საერთაშორისო ტერორისტული გამოწვევები კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა გლობალური უსაფრთხოების გარემოში. საანგარიშო პერიოდში ძირითადი საფრთხეები მომდინარეობდა ტერორისტული ორგანიზაციებისგან: „დაეში", „თალიბანი", „ალ-კაიდა".

2021 წელს, პანდემიისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების მიუხედავად ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოვლინებებს სხვადასხვა ლოკაციაზე ჰქონდა ადგილი.

## *საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება*

### *„დაეში"*

„დაეშის" ძირითად სამოქმედო არეალს კვლავ სირია-ერაყის ტერიტორია წარმოადგენდა. ასევე, მისი რეგიონული დანაყოფების აქტიურობა კვლავ შენარჩუნდა აფრიკის კონტინენტზე - განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში, სადაც ტერორისტების სამიზნეს ადგილობრივი და საერთაშორისო მისიების ფარგლებში დისლოცირებული სამხედროები, ასევე სამოქალაქო პირები, წარმოადგენდნენ.

2021 წელს განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში გადავიდა „დაეშის" ავღანეთში მოქმედი ფრთის „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის პროვინციის" მოქმედება, რომელმაც, რიგი მასშტაბური ტერაქტების შედეგად, საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინა და რეგულარულ თავდასხმებს ახორციელებდა „თალიბანის" წევრებზე.

კვლავ პრობლემას წარმოადგენდა სირიაში მდებარე ციხეებში/ბანაკებში მყოფი „დაეშის" ტერორისტი-მებრძოლები და მათი ოჯახის წევრები. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა როგორც

თავდასხმებს, ისე გაქცევის მცდელობებს, არსებობდა სხვადასხვა ქვეყანაში მათი მოხვედრის საფრთხე. ამავდროულად, მაღალი იყო ადგილზე მყოფი ბავშვების რადიკალიზაციის რისკი. აღსანიშნავია, რომ მათი რეპატრიაცია კვლავ პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა.

„დაეშმა“ საკუთარი ბრძოლისუნარიანობის დემონსტრირება 2021 წელსაც მოახდინა. მის წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციის მხრიდან განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციების მიუხედავად, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია, მსოფლიოსთვის კვლავაც ერთ-ერთ მთავარ ტერორისტულ საფრთხეს წარმოადგენს. მას ჯერ კიდევ შეუძლია სხვადასხვა ქვეყანაში ფინანსური რესურსის მობილიზება, მოქალაქეთა რადიკალიზება, რეკრუტირება და ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვა.

*„თალიბანი“*

2021 წელს, „თალიბანის“ მიერ ავღანეთის ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, ტერორიზმის კუთხით რეგიონში არსებული ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. შექმნილი რეალობის ფარგლებში, გამოიკვეთა ადგილზე ტერორიზმისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ავღანეთის ტერიტორიის ერთგვარ თავშესაფრად გამოყენების საფრთხე. აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, „თალიბანის“ გაძლიერება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, როგორც რეგიონისთვის, ისე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთათვის. აღსანიშნავია, რომ მისი ინტერესის სფეროს ჯერჯერობით არ წარმოადგენს ავღანეთის საზღვრებს გარეთ ტერორისტული აქტივობების განხორციელება, თუმცა არ არის გამორიცხული, ქვეყნის ტერიტორია სხვა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა მსოფლიოს მასშტაბით ტერაქტების ორგანიზების მიზნით გამოიყენონ.

მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში, „თალიბანის“ მოქმედებების შედეგად, გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში გარკვეული გამოწვევები უკვე შეიქმნა. აღნიშნული უკავშირდებოდა ავღანეთში არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, კრიზისიდან თავის დაღწევის მსურველი ასობით ათასი მოქალაქის მიერ თავშესაფრის ძიებას, მათ შორის, ევროპის ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია წარსული გამოცდილება, რომელიც სირია-ერაყიდან ლტოლვილებს შორის რადიკალიზებული და ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მოხვედრას უკავშირდება.

„თალიბანის“ მიერ ავღანეთში ძალაუფლების მოპოვება ტერორისტული იდეოლოგიის მხარდამჭერების მიერ მნიშვნელოვან „წარმატებად“ ფასდება. აღნიშნული შესაძლოა, ტერორისტული ორგანიზაციებისა და ცალკეული რადიკალიზებული პირებისთვის ტერორიზმის პროპაგანდის ერთგვარ მამოტივირებელ, ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს.

*„ალ-კაიდა“*

2021 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა „ალ-კაიდას“ მნიშვნელოვნად გაძლიერების ან დასუსტების ტენდენცია. ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერთან დაკავშირებით,

გარდაცვალების/მძიმედ დაავადების შესახებ ინფორმაცია არაერთხელ გავრცელდა, რაც არ დადასტურებულა.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის ტერიტორიული დანაყოფები სირიასა და იემენში აქტიურად განაგრძობდნენ მოქმედებას. „ალ-კაიდასთან" დაკავშირებული აფრიკული დაჯგუფება ინტენსიური აქტივობებით გამოირჩეოდა. ტერორისტული ორგანიზაციის ძირითად მიზნად კვლავ რჩებოდა დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა. გარდა ამისა, მისი ტერორისტული დანაყოფების სამიზნეს ასევე წარმოადგენდნენ ადგილობრივი უსაფრთხოების/სამთავრობო ძალები. ამასთან, ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენლები თავს ესხმოდნენ სამოქალაქო პირებსაც.

„ალ-კაიდა", ავღანეთში „თალიბანის" მიერ ძალაუფლების მოპოვებამდე და მის შემდეგაც, ამ უკანასკნელთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს. შესაძლოა, ავღანეთში „თალიბანის" ე.წ. მმართველობამ „ალ-კაიდას" გაძლიერების/რესურსების მოზიდვის მიმართულებით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

*ძალადობრივი ექსტრემიზმი*

2021 წლის განმავლობაში ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოვლინებები, კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩებოდა. ზოგიერთმა ჯგუფმა ექსტრემისტული შინაარსის იდეების გარშემო მოქალაქეების გაერთიანება და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება შეძლო. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვან მაპროვოცირებელ ფაქტორს, გლობალური პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვების ფონზე, საზოგადოების ონლაინსივრცეზე დამოკიდებულების კრიტიკული ზრდა წარმოადგენდა. ძალადობრივი ექსტრემიზმის ინციდენტების ძირითად მოტივს რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობა წარმოადგენდა.

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული გლობალური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახდენდა აღნიშნული კუთხით უსაფრთხოების გარემოს მონიტორინგს, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზს, საფრთხეების იდენტიფიცირებას და შეფასებას, რის შედეგადაც, იგეგმებოდა და ხორციელდებოდა შესაბამისი პრევენციული ზომები.

## *საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა*

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კვლავ აქტიურად განაგრძობდა კონტრტერორისტულ საქმიანობას. აღნიშნული მოიცავდა ტერორიზმთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ინფორმაციის მოპოვებისა და გაზიარების კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, საფრთხეების შემცირების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული მექანიზმების დახვეწასა და საფრთხეებზე რეაგირების

შესაძლებლობების გაძლიერებას. მათ შორის, მიმდინარეობდა მაღალი რისკის, ტერორისტული თავდასხმის პოტენციური სამიზნეების შეფასება და აღრიცხვა. უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, მიღებულ იქნა შესაბამისი ზომები. პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად, კონტრტერორისტულ საქმიანობაში უშუალოდ ჩართული დანაყოფების თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სწავლებაში.

საქართველოს მიერ განხორციელებული კონტრტერორისტული საქმიანობა დადებითად შეფასდა ტერორიზმის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში.[1]

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში ტერორისტულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია და საქართველოს ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ინსტრუმენტები გააჩნია.

ანგარიშში ხაზგასმულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, როგორც ტერორიზმთან დაკავშირებულ შემთხვევებზე რეაგირებისა და გამოძიების მიმართულებით წამყვანი უწყების, მჭიდრო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ სხვა რელევანტურ უწყებებთან.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კარგად აღჭურვილი და მომზადებულია; სამსახურის სასწავლო ცენტრში ტარდება სწავლებები ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის თემებზე.

„ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში „გლობალური ტერორიზმის ინდექსი“, საქართველო, ტერორიზმის გავლენის კრიტერიუმით შეფასებისას, რამდენიმე ათეულ ქვეყანასთან ერთად, უსაფრთხო ქვეყნად განისაზღვრა. აღნიშნული გულისხმობს, რომ საქართველოში ტერორისტული ინციდენტები არ დაფიქსირებულა და ამასთან, წინა წელთან შედარებით, ქვეყანაში ტერორიზმის კუთხით ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა.

### *საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები*

საქართველოს წინაშე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან მომდინარე შემდეგი შესაძლო საფრთხეები და გამოწვევები არსებობს:

- საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო თავდასხმის განხორციელების მცდელობა;
- სირია-ერაყის ტერიტორიაზე მყოფი, „დაეშის“ და „ალ-კაიდას“ რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა;

[1] აღნიშნული ანგარიში გამოქვეყნდა 2021 წლის 16 დეკემბერს.

- უცხოელი ტერორისტი მებრძოლების, ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოში შესაძლო შემოსვლის, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენების მცდელობა;
- ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესაძლო დაფინანსება ან სხვაგვარი დახმარების გაწევა;
- ტერორისტული ორგანიზაციების/მათთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება.

### *საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო თავდასხმის განხორციელების მცდელობა*

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედება არახელსაყრელი იყო. ტერორიზმთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა რელევანტური უწყებების მხრიდან ქვეყანაში კოორდინირებული ღონისძიებების გატარება კვლავ გრძელდებოდა. აღნიშნული ზომების მიღების შედეგად, ტერორიზთან დაკავშირებული პირებისთვის სირთულეს წარმოადგენდა საქართველოში პოტენციური მხარდამჭერების შეძენა, ასევე, ტერორისტული აქტივობების დაფინანსება. აღნიშნულის მიუხედავად, ტერორისტული თავდასხმის განხორციელების შესაძლებლობის სრულად გამორიცხვა შეუძლებელია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად, ქვეყანაში არ დაფიქსირებულა რადიკალური/ექსტრემისტული კერები. საქართველოში ტერორიზმის შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. საანგარიშო პერიოდში მათ კვლავ არ ეძლეოდათ ტერორისტული აქტივობების ორგანიზებისა და განხორციელების საშუალება.

2021 წელს საქართველოში ტერორისტულ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო ტერორისტული აქტის ჩადენის მუქარის ორ ფაქტზე, ასევე საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე თავდასხმის მუქარის შემთხვევაზე. საგამოძიებო მოქმედებები კვლავ მიმდინარეობს.

### *სირია-ერაყის ტერიტორიაზე მყოფი, „დაეშის“ და „ალ-კაიდას“ რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა*

სირია-ერაყის ტერიტორიაზე მყოფი, ტერორისტული ორგანიზაციის წევრების ან შესაძლო მხარდამჭერებისა და მათი ოჯახის წევრების წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნება მრავალი სახელმწიფოსთვის კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით გამონაკლისი არც საქართველოა. სირიის არაბთა რესპუბლიკაში ამ ეტაპზე,

სავარაუდოდ, იმყოფებიან ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში სხვადასხვა დროს მებრძოლი საქართველოს 15 მოქალაქე და მათი ოჯახის წევრები.

| |
|---|
| საანგარიშო პერიოდში სირიასა და ერაყში მყოფ, ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართულ, საბრძოლო მოქმედებებში სხვადასხვა დროს შესაძლო მონაწილე საქართველოს მოქალაქეებსა და მათი ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, გრძელდებოდა შესაბამისი საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები. საქართველოში მათი დაბრუნების შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კანონმდებლობით გათვალისწინებულ სათანადო ზომებს მიმართავს.<br><br>აღსანიშნავია, რომ ტერორისტი მებრძოლების ოჯახის წევრთა მიმართ, რომელთა ქმედებები დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს, სახელმწიფო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით იხელმძღვანელებს. |

### *უცხოელი ტერორისტი მებრძოლების, ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოში შესაძლო შემოსვლის, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენების მცდელობა*

საქართველოსთვის კვლავ გამოწვევად რჩება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მყოფი უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ან ტერორიზმთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებული პირების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შესაძლო მცდელობა, ასევე მათ მიერ, კონკრეტულ ქვეყანაში მოხვედრის მიზნით, სატრანზიტო მარშრუტის ნაწილად საქართველოს ტერიტორიის შესაძლო გამოყენება.

| |
|---|
| საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საქართველოს საზღვრების კონტრტერორისტული სკრინინგი, მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა ქვეყანაში არალეგალურად მოსახვედრი გზები და ე.წ. დერეფნები.<br>აღნიშნული მიმართულებით, საქართველო განაგრძობდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. |

### *ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესაძლო დაფინანსება ან სხვაგვარი დახმარების გაწევა*

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების ან მათთვის ნებისმიერი ფორმით დახმარების გაწევისთვის ხელშეშლის მიზნით, შესაბამის ოპერატიულ და საგამოძიებო ღონისძიებებს ახორციელებდა. მათ შორის, მუდმივი დაკვირვება ხორციელდებოდა ტერორიზმთან სავარაუდოდ დაკავშირებულ სხვადასხვა ოპერაციებსა და ტრანზაქციებზე.

| |
|---|
| სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შესაბამისი უწყებების ძალისხმევის, ასევე, საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინაციის შედეგად, საანგარიშო პერიოდში |

საქართველოს ტერიტორიაზე ტერორიზმის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

### *ტერორისტული ორგანიზაციების/მათთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება*

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კვლავ განაგრძობდა მუშაობას საქართველოში ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელების გამოვლენა-აღკვეთის მიმართულებით. კიბერსივრცეში მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა ტერორისტული იდეოლოგიის პროპაგანდის მონიტორინგი, რამაც კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება განაპირობა. აღნიშნულზე რეაგირების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, უცხო ქვეყნის ათობით მოქალაქეს საქართველოს ტერიტორიის დატოვება მოუხდა.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ფაქტზე. გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებულ 5 მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული პირები ახლო აღმოსავლეთში გამგზავრებას და ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში ბრძოლას აპირებდნენ. სამსახურის მიერ განხორციელებული დროული რეაგირების შედეგად, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა თავიდან იქნა აცილებული.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ აფზახეთსა და ცხინვალის რეგიონში, ცენტრალური ხელისუფლებისთვის უკონტროლო ვითარების არსებობის ფონზე, ადგილზე სხვადასხვა ტერორისტული აქტივობებისთვის ხელსაყრელი გარემო კვლავ იქმნებოდა.

## *სისხლის სამართლის საქმეები*

2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებულ ოთხ დანაშაულზე. ასევე, გრძელდებოდა საგამოძიებო მოქმედებები გასულ წლებში გამოვლენილ დანაშაულებთან დაკავშირებით.

## *ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია*

2021 წელს, საქართველოს მთავრობის დადეგნილებით შექმნილმა უწყებათშორისმა მუდმივმოქმედმა კომისიამ 2022-2026 წლების საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

საქართველოს მიერ ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განსახორციელებელი ძალისხმევის შესახებ სახელმწიფოს ყოვლისმომცველი პოლიტიკური დოკუმენტი შვიდ ძირითად მიმართულებას ეფუძნება: ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, პრევენცია, დაცვა, მზადყოფნა, დევნა, სამართლებრივი

რეგულირების ჩარჩოს განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა. ჩამოთვლილთაგან თითოეული განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ კონკრეტული მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს.

ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია გულისხმობს ხედვას, რომლის ფარგლებშიც, ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მიიღწევა.

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოების დაცვა ტერორიზმისა და ექსტრემიზიდან მომდინარე საფრთხეებისგან.

ცვლილებები იქნა მიღებული აღნიშნული ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში, რომლითაც ეს უკანასკნელი კიდევ უფრო გაფართოვდა, მისი შესაძლებლობები კი მეტად გაძლიერდა.

## სპეციალური ოპერაციების ძალები

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ტერორისტულ საფრთხეებზე რეაგირებისა და სხვა სპეციალურ ღონისძიებებზე მზადყოფნის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. საანგარიშო პერიოდში სამსახურის საბრძოლო ჯგუფების ტაქტიკური მომზადების ბაზაზე გაიმართა ათეულობით სხვადასხვა ტიპის გეგმური წვრთნა.

სპეციალური ოპერაციების ძალების მზადყოფნის შენარჩუნების მიზნით სისტემატურად მიმდინარეობდა მათი მომზადება-გადამზადება კონტრტერორისტული ღონისძიებების, ანტიდივერსიული ოპერაციების, ასევე განნაღმვითი სამუშაოების ჩატარების, მასობრივი განადგურების საშუალებების გამოვლენის, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ფეთქებადი ნივთიერებების გაუვნებელყოფის კუთხით. სწავლებები ასევე მოიცავდა სნაიპერის, ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟის, პარამედიკოსის, ინსტრუქტორთა მომზადებისა და სხვა სპეციალურ პროგრამებს.

საბრძოლო მოქმედებების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად და თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სტრატეგიულ პარტნიორებსა და მოკავშირეებთან. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია 2021 წელს განხორციელებული თეორიული და პრაქტიკული სავარჯიშოები.

საანგარიშო პერიოდში, აშშ-ის მხარდაჭერით, გაიმართა ტერორისტების განადგურების, მძევლების გათავისუფლების, ასაფეთქებელი და საშიში ნივთიერებების განეიტრალების ტაქტიკური სწავლებები.

ამასთან, 2021 წელს სამსახურის სპეციალური ოპერაციების დანაყოფმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ ორგანიზებულ სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში „დიდგორი 2021“.

## კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო ეფექტიანად განაგრძობდა კორუფციის საწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებებს. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაკავებულ იქნა და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა არაერთი თანამდებობის პირი და საჯარო მოხელე.

2021 წელს ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 53 საქმეზე, კერძოდ, დიდი ოდენობით ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, თაღლითობისა და სხვა ფაქტებზე. ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 162 პირი.

საანგარიშო წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ყადაღა დაედო 153 უძრავ და 7 მოძრავ ქონებას. შეფასებული ქონების სავარაუდო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 3 200 000 ლარს. ამასთან, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2021 წელს ამოღებულ იქნა დაახლოებით 1 850 000 ლარის ეკვივალენტი სხვადასხვა ფულადი თანხა.

2021 წლის განმავლობაში გატარებული ეფექტიანი ღონისძიებების მიუხედავად, კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა კვლავ გარკვეული გავლენა იქონია ანტიკორუფციულ საქმიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ უნებართვო არქეოლოგიური სამუშაოების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 2021 წელს სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ ამოღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი ისტორიული ღირებულების არტეფაქტი - საქართველოს მეფე დავით მეოთხე აღმაშენებლის პერიოდის უნიკალური მონეტა, რომელიც გადაეცა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო განაგრძობდა კორუფციული ფაქტების თავიდან აცილების, მათი ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და აღკვეთისკენ მიმართულ ძალისხმევას. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები, განხორციელდა მთელი რიგი ანალიტიკური და პრევენციული ღონისძიებები.

პრიორიტეტულ მიმართულებად რჩებოდა კორუფციულ და სამოხელეო დანაშაულებში საჯარო მოხელეების შესაძლო ჩართულობის პრევენცია და აღნიშნულით უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა თუ სხვადასხვა დანაშაულებრივი ჯგუფების/ცალკეული პირების მიმართ მათი მოწყვლადობის რისკების შემცირება.

2021 წელს კიდევ უფრო გაძლიერდა სააგენტოს შემადგენლობაში შემავალი კორუფციის პრევენციის სამსახურის პროფესიული და ინსტიტუციური შესაძლებლობები. ხსენებული დანაყოფის მიერ, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, მომზადდა არაერთი წინადადება და ინიციატივა. აღნიშნული მოიცავდა როგორც კორუფციულ დანაშაულებზე საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლების მიმართულებას, ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების მეტი ჩართულობისთვის ხელშეწყობას.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციისა და პრევენციის მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა კორუფციული ფაქტების გამოვლენის კუთხით მოქალაქეთა ჩართულობა.

აღნიშნულს, მათ შორის, მოწმობს სააგენტოში 2021 წელს შესაძლო კორუფციულ სამართალდარღვევებზე მოქალაქეეთა მხრიდან შემოსული განცხადებები. კერძოდ, წლის განმავლობაში შემოვიდა 83 განცხადება, აქედან: 23 მათგანზე, მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, დაიწყო გამოძიება; 29 განცხადება, კომპეტენციის გათვალისწინებით, გადაიგზავნა სხვა უწყებაში; 7 განცხადებაზე მიმდინარეობს შესწავლა; ხოლო 23 განცხადება არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს; ერთი განცხადება დაერთო არსებულ სისხლის სამართლის საქმეს.

2021 წელს კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე განხორციელდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გამიზნული ე.წ. საინფორმაციო შეხვედრების პროექტი. აღნიშნული პროექტი მომზადდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში. ამასთანავე, პროექტის თემატიკისა და სამიზნე ჯგუფების განსაზღვრაში აქტიურად იყო ჩართული სამსახურში შექმნილი სპეციალური, შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები (იურისტები, ანალიტიკოსები, გამომძიებლები და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები).

ამასთან, აღნიშნული შეხვედრების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში შეირჩა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც, ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში, გაიარა სპეციალური მომზადება - „ტრენერთა ტრენინგი“. შედეგად, 2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადდა საჯარო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ათეულობით

წარმომადგენელი. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს მუდმივი ხასიათი აქვს და მათი ორგანიზება სამსახურის მიერ სამომავლოდაც იგეგმება.

საანგარიშო პერიოდში ასევე მნიშვნელოვანი იყო ევროპის საბჭოსთან პარტნიორობის ფარგლებში ე.წ. „ტექნიკური დოკუმენტის“ შემუშავება. დოკუმენტი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას, ასევე შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს გამოცდილება საჯარო დაწესებულებებში კორუფციასთან ბრძოლის თაობაზე. დოკუმენტი შეიცავს რეკომენდაციებსა და კონკრეტულ წინადადებებს ანტიკორუფციული სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. 2021 წელს ანტიკორუფციული სააგენტოს როგორც ოპერატიული, ასევე საგამოძიებო და ანალიტიკური მიმართულების ქვედანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს ათეულობით შეხვედრასა და ღონისძიებაში, მათ შორის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოს, გაეროსა და აშშ-ის საელჩოს მიერ მხარდაჭერილი პროგრამების ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში მაღალი დონის ორმხრივი სამუშაო ვიზიტი განხორციელდა, როგორც საქართველოში, ისე ჩეხეთის რესპუბლიკაში, სადაც განხილულ იქნა ანტიკორუფციული მიმართულებით ორი ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაზე, გარდა საგამოძიებო სტატისტიკური მონაცემებისა, ასევე მიუთითებს საერთაშორისო რეიტინგები და შეფასებები. „საერთაშორისო გამჭვირვალობის” მიერ მომზადებული კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) თანახმად, 2021 წელს საქართველო 180 ქვეყნიდან 45-ე ადგილს იკავებს და მცირედით ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა პოლონეთი და იტალია. ამასთანავე, აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო უსწრებს ჩეხეთს, მალტას, სლოვაკეთს, საბერძნეთს და აღმოსავლეთ ევროპის არაერთ ქვეყანას.

2021 წელს სამსახური ანტიკორუფციული მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოებას მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას.

## სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა

კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, საანგარიშო წლის განმავლობაში გრძელდებოდა შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და სამართლებრივი ბაზის დახვეწის პროცესი.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოამზადა და გამოსცა 180-მდე ახალი სამართლებრივი აქტი. ამასთანავე, სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ შემუშავებულ 250-ზე მეტი სამართლებრივი აქტის პროექტზე.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ან/და დაიხვეწა არაერთი შიდასამსახურებრივი რეგულაცია, მათ შორის, დადგინდა დამატებითი მოთხოვნები სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მაღალკვალიფიციური კადრების ფორმირებას. შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, გამკაცრდა შიდა კონტროლის მექანიზმები სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

დარეგულირდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში მხილების საკითხების ძირითადი პრინციპები, სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები და მექანიზმები. ამასთან, განისაზღვრა მამხილებელთა დაცვის ძირითადი საფუძვლები. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება საქართველოს კანონმდებლობის, შრომის დისციპლინის ან ეთიკის კოდექსის ზოგადი წესების შემცველი ნორმების დარღვევის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და საჯარო ინტერესის დაცვას.

2021 წელს მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად, განხორციელდა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების კატეგორიზაცია და გაუმჯობესდა მათი დაცვის სტანდარტები და საშუალებები. ამასთან, მიღებული კანონის საფუძველზე, გამოიცა სამსახურის უფროსის ბრძანება „ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ან/და ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტის ჩატარებისთვის ავტორიზაციის მსურველი ორგანიზაციის ან/და შესაბამისი თანამშრომლის უსაფრთხოებაზე შემოწმების წესის დადგენის შესახებ".

საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება „საჰაერო გადამზიდველის მიერ მგზავრის წინასწარი მონაცემის და მგზავრის სახელის ჩანაწერის მიწოდების, დამუშავების, შენახვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ", რომლის შედეგად გაუმჯობესდა აღნიშნულ სფეროზე პასუხისმგებელ უწყებათა კოორდინაციისა და ინფორმაციის კლასიფიცირების საკითხები.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, დამატებითი ცვლილებები შევიდა სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსშიც. კომისიის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა სამსახურთან შემხებლობაში მყოფი ინფორმაციის/განცხადებების განხილვა და სათანადო რეაგირება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკონტროლო დავალებების ფარგლებში, 2021 წელს სამსახურის მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა ინფორმაციის მიწოდება

მთავრობის სამართლებრივი აქტების გარდამავალი რეგულაციებით შესასრულებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

ამასთან, აღსანიშნავია საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის კუთხით.

| |
|---|
| შესაბამისი განჩინებების საფუძველზე, საერთო სასამართლოებს სამსახურის მიერ შეუფერხებლად მიეწოდა საქმეების განხილვისათვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულებები (საერთო ჯამში, 1075 ინფორმაცია/მტკიცებულება). იმავდროულად, საანგარიშო პერიოდში დამუშავდა სასამართლოებიდან შემოსული 500-ზე მეტი დოკუმენტი.<br><br>2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 30-ზე მეტი სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სასამართლო დავის საქმე, საიდანაც 7 დასრულდა სხვადასხვა ინსტანციაში. თითოეულ შემთხვევაში სასამართლომ სამსახურის პოზიცია დასაბუთებულად მიიჩნია, რაც აისახა შესაბამის გადაწყვეტილებებში. |

# პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

## *პერსონალურ მონაცემთა დაცვა*

ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურის მმართველობაში შემავალი სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა ქვეყნის ტერიტორიაზე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამის სხვა ღონისძიებებს. აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

| |
|---|
| 2021 წელს სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანოების მიერ სულ წარდგენილ იქნა მოსამართლის 2082 განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედებების და პროკურორის 190 მოტივირებული დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე. |

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს საქმიანობა, საკანონმდებლო რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ექვემდებარებოდა საქართველოს პარლამენტს, პრემიერ-მინისტრს, სასამართლოს, პროკურატურას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და სახელმწიფო ინსპექტორს.

2021 წლის განმავლობაში აქტიურად იყო გამოყენებული ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში სააგენტოში განახორციელა ორი ვიზიტი. აღნიშნულის ფარგლებში, ნდობის ჯგუფის წევრები გაეცნენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელების ტექნიკურ, ორგანიზაციულ და პროცედურულ ასპექტებს, სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებსა და ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივ დოკუმენტაციას. ასევე, მათ სატესტო რეჟიმში შეამოწმეს კონტროლის ელექტრონული და სპეციალური ელექტრონული სისტემების ფუნქციონირება.

დამატებით, საანგარიშო წლის განმავლობაში, ნდობის ჯგუფის მიერ 8 შემთხვევაში წერილობით იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობისა და ცალკეული აქტივობების შესახებ, რაზეც განხორციელდა სათანადო რეაგირება. 2021 წელს, კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ, საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფს, პრემიერ-მინისტრსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს წარუდგინა სააგენტოს საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში.

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორი, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, განაგრძობდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე რეალურ დროში კონტროლის ღონისძიებებს. აღნიშნულ პროცესში სააგენტოს მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა სახელმწიფო ინსპექტორისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, ასევე, მისი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისთვის უზრუნველყოფილი იყო ყველა აუცილებელი პირობა.

სახელმწიფო ინსპექტორი სააგენტოს საქმიანობას კონტროლის ელექტრონული სისტემების გამოყენებით აკონტროლებდა, რომელიც ამავე დროს მას საშუალებას აძლევს, შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება, თუ კანონით დადგენილი პროცედურით და ვადაში არ წარედგინება ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

ამავე დროს, გეგმური და არაგეგმური ინსპექტირების უფლებამოსილების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორმა განახორციელა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედებების შემოწმება, რომლებიც მიმდინარეობდა 2021 წლის 25 თებერვალიდან 2021 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით. შემოწმების შედეგად, სააგენტოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. ამასთან, სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს შესასრულებლად მიეცა სავალდებულო დავალებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ცალკეული ასპექტების გაუმჯობესების მიზნით.

## ***ზედამხედველობა***

სამსახური, როგორც საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყება, საანგარიშო პერიოდში, აქტიურად თანამშრომლობდა საკანონმდებლო ორგანოსთან და აწვდიდა უსაფრთხოების მიმართულებით გატარებული თუ დაგეგმილი მოქმედებების შესახებ სხვადასხვა მოხსენებასა და საინფორმაციო ანგარიშებს. სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების, ასევე ნდობის ჯგუფის ფარგლებში გამართულ არაერთ სხდომაში.

2021 წელს ნდობის ჯგუფთან 7 შეხვედრა გაიმართა, რომლებზეც სამსახურის ხელმძღვანელობამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარადგინა ინფორმაცია (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხზე. საერთო ჯამში, 2021 წელს სამსახურის მხრიდან შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 32 სადეპუტატო შეკითხვაზე (აქედან, 9 მათგანზე ნდობის ჯგუფის ფარგლებში).

ამასთან, სამსახური აქტიურად განაგრძობდა სახალხო დამცველთან თანამშრომლობას და მისთვის კანონმდებლობის დაცვით მოთხოვნილი (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი) ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდებას. საანგარიშო პერიოდში შესაბამისი რეაგირება განხორციელდა სახალხო დამცველის მიერ გამოგზავნილ 22 კორესპონდენციაზე.

სამსახურის ქვემდებარეობაში შემავალი დანაშაულების გამოძიების წარმოების პროცესში, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, როგორც საგამოძიებო ზედამხედველობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებასთან.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ, სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე ეფექტურად გამოიყენებოდა შიდა კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმები. ამ თვალსაზრისით ხაზგასასმელია დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა უფლებების დაცვაზე განხორციელებული მონიტორინგი, რაც შესაბამისი დანაყოფის მიერ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. 2021 წელს იზოლატორში მოთავსებული პირები, საჭიროებებიდან გამომდინარე სარგებლობდნენ მაღალი სტანდარტების სამედიცინო მომსახურებით, ასევე, დაცული იყო ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები.

შიდა მონიტორინგის შედეგად, იზოლატორის თანამშრომელთა მხრიდან რაიმე სახის დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. მოთავსებული პირების მიმართ წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტები არ დაფიქსირებულა და არც დაკავებულ პირთა მხრიდან ყოფილა რაიმე სახის პრეტენზია იზოლატორის თანამშრომელთა, ისევე როგორც დამკავებელთა მიმართ. საანგარიშო პერიოდში, თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებოდათ ინსტრუქტაჟი იზოლატორში დროებით მოთავსებულ პირთა უფლებების თაობაზე.

ამასთანავე, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელებული ვიზიტის შედეგად, ადამიანის უფლებებთან მიმართებით შენიშვნები და რეკომენდაციები არ ყოფილა.

გასული წლების მსგავსად, 2021 წელს სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას, პროფესიული სტანდარტების, ეთიკის კოდექსით დადგენილი პრინციპებისა და დისციპლინური ნორმების დაცვას. სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სისტემატურად მიმდინარეობდა თანამშრომელთა საქმიანობის კონტროლი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტებზე განხორციელდა სათანადო რეაგირება. ამასთანავე, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მხრიდან გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე, სამსახურის გენერალური ინსპექცია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებდა შესაბამის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული შიდა სამსახურებრივი შემოწმებებისა და მომზადებული დასკვნების საფუძველზე, სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომისთვის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებს დაეკისრათ 15 დისციპლინური სახდელი, კერძოდ, სამსახურიდან დათხოვნილი იქნა 1 მოსამსახურე, სასტიკი საყვედური გამოეცხადა - 1, საყვედური - 7 და შენიშვნა მიეცა 6 თანამშრომელს. ამასთან, სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები მიეცა 8 მოსამსახურეს.

2021 წელს სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 6 საქმეზე.

## *საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა*

სამსახურისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების სათანადო ინფორმირებას და სწორი, უტყუარი ფაქტების მიწოდებას. ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების კომპლექსური გამოწვევების ფონზე, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და მოსახლეობასთან ეროვნული ინტერესების შესაბამისად კომუნიკაციას, ხშირ შემთხვევაში, ცალკეული პროცესებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია.

ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ოფიციალური ვებგვერდისა (ssg.gov.ge) და კომუნიკაციის სხვა არხების საშუალებით, მოსახლეობას მუდმივად მიეწოდებოდა ინფორმაცია უწყების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ. სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, შესაბამისი დანაყოფი მედიასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებს პროაქტიულ რეჟიმში აწვდიდა ობიექტურ და დადასტურებულ ინფორმაციას.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახურის მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა. 2021 წლის 10 დეკემბერს, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიში წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს. აღნიშნული ანგარიში, ასევე, გადაიგზავნა სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, სამსახურში შესული იყო 72 განცხადება (მათ შორის მოქალაქეებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან), რომელთაგან დაკმაყოფილდა - 60, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 3, შემდგომი რეაგირებისათვის, კომპეტენციის შესაბამისად, სხვა საჯარო უწყებაში გადაიგზავნა - 1, ხოლო 8 განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეების მიერ ინფორმაციის მიწოდებისა თუ გამოთხოვის მიზნით, აქტიურად იყო გამოყენებული სამსახურში მოქმედი ცხელი ხაზი („123“) (შემოვიდა 1000-ზე მეტი განაცხადი), რაზეც სამსახურის მხრიდან განხორციელდა სათანადო რეაგირება.

სისტემატურ რეჟიმში მუშავდებოდა სამსახურის ელექტრონული გრაფის საშუალებით (info.ssg.gov.ge) მოწოდებული ინფორმაცია. საერთო ჯამში, შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 672 ელექტრონულ განცხადებაზე. სამსახურის მხრიდან რეაგირება განხორციელდა მოქალაქეების, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან მიღებულ 3600-ზე მეტ კორესპონდენციაზე.

# საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია

## *საერთაშორისო თანამშრომლობა*

რეგიონში განსაკუთრებულად გაზრდილი საფრთხეების და ზოგადად, 2021 წელს, მსოფლიოში უსაფრთხოების კუთხით შექმნილი ახალი გამოწვევების პირობებში, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს მჭიდრო, მუდმივი თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებსა და მეგობარ სახელმწიფოებთან, ასევე, წამყვან რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან. საანგარიშო პერიოდში სამსახურის მხრიდან გადაიდგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით.

სტრატეგიულ მოკავშირეებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურის ხელმძღვანელი პირები სისტემატურ რეჟიმში ახდენდნენ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლას უსაფრთხოების გარემოს თაობაზე, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე

პროცესების, მოსალოდნელი რისკების, რეგიონში განვითარებული სხვადასხვა მოვლენისა და მათთან დაკავშირებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ. სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიმდინარეობდა სტრატეგიულ მოკავშირეებთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობა და კონკრეტულ მიმართულებებზე მჭიდრო კოორდინაცია, მათ შორის, კონტრდაზვერვის, ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოებისა და ჰიბრიდული საფრთხეების კუთხით.

2021 წელს გაიმართა არაერთი მაღალი დონის შეხვედრა დიპლომატიური მისიების, პარტნიორი ქვეყნების შესაბამისი უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებთან.

იმავდროულად, უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარების კუთხით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გამართული ექსპერტული შეხვედრები, ასევე ორმხრივი სამუშაო ჯგუფების ფორმატში მიმდინარე თანამშრომლობა, როგორც სამსახურის ხელმძღვანელების დონეზე, ასევე პროფესიონალი თანამშრომლების ჩართულობით. ცალკეულ შემთხვევებში, აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში, საფუძველი ჩაეყარა უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ახალ პროექტებსა და ინიციატივებს.

საერთაშორისო პარტნიორებთან ინფორმაციის დროულად და უსაფრთხოდ გაცვლის მიზნით, სამსახურის მიერ აქტიურად და ეფექტიანად იყო გამოყენებული შესაბამისი კომუნიკაციის საერთაშორისო ინსტრუმენტები და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული მექანიზმები, მათ შორის, ინტერპოლისა და ევროპოლის არხები, საქართველოში აკრედიტებული მეკავშირე ოფიცრები, პოლიციის ატაშეების ქსელი და სხვა.

ამ მიმართულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, 2021 წელს განაგრძობდა სამართალდაცვით და უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ეტაპობრივ განვითარებას. აღნიშნული მოიცავს ნატოსა და ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების, აგრეთვე, სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმების ინიცირებას.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები საქართველოს გაფორმებული აქვს 29 პარტნიორ სახელმწიფოსთან (უმეტესობა ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანაა), ხოლო ევროპოლთან დადებულია ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში ინიცირებულ იქნა პარტნიორ სახელმწიფოებთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებები, რის თაობაზეც აღნიშნული ქვეყნების შესაბამის უწყებებთან მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით, საქართველოს

ანალოგიური შეთანხმებები სულ გაფორმებული აქვს 24 სახელმწიფოსა (უმეტესობა ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანაა) და ევროკავშირთან.

2021 წელს, სამსახურმა, კომპეტენციის შესაბამისად, აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო დოკუმენტების შემუშავების პროცესში. სამართლებრივი და უსაფრთხოების კუთხით, დამუშავდა და ანალიზი ჩაუტარდა სხვადასხვა თემატიკის საერთაშორისო შეთანხმების 50-ზე მეტ პროექტს, მათ შორის, მიგრაციისა და უვიზო მიმოსვლის, საჰაერო მიმოსვლის, თავდაცვის, სასაზღვრო, საზღვაო, საბაჟო, ეკონომიკის, დანაშაულთან ბრძოლის და სხვა სფეროებში. აღნიშნულ დოკუმენტებთან მიმართებით სამსახურის მხრიდან განხორციელდა სახელმწიფო მნიშვნელობის უსაფრთხოების საკითხების სათანადო ასახვა/გათვალისწინება.

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტულია ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან უსაფრთხოების სფეროში პარტნიორული ურთიერთობები. აღსანიშნავია საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის უწყებებსა და საელჩოსთან ჩამოყალიბებული მჭიდრო ურთიერთობები. აღნიშნული მოიცავდა თანამშრომლობის ფართო სპექტრს, როგორც ოპერატიული, ასევე ანალიტიკური საქმიანობის მიმართულებით.

ამასთან, 2021 წელს სამსახური აქტიურად იყო ჩართული ერთობლივ ძალისხმევაში საერთაშორისო ტერორიზმთან და მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხეებთან ბრძოლის, სასაზღვრო უსაფრთხოების, კიბეროპერაციებსა და სხვა საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების მიმართულებით. ასევე, უმნიშვნელოვანესი იყო აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერა როგორც პროფესიული განვითარების, ასევე ცალკეული დანაყოფების ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით. საანგარიშო პერიოდში სამსახურის 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო აშშ-ის მხარდაჭერით განხორციელებულ ათეულობით სხვადასხვა სასწავლო კურსში, გადამზადების პროგრამაში, საველე და სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში. აშშ-ის მხარდაჭერით, სამსახურის თანამშრომლები აგრძელებდნენ მონაწილეობას აშშ-ის საზღვაო ძალების სამაგისტრო სკოლის (NPS) გრძელვადიან სამაგისტრო პროგრამებში, ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლებათა ევროპული ცენტრის (GCMC), სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიისა (ILEA) და აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ეროვნული აკადემიის მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებსა და სემინარებში.

2021 წელს სამსახური აქტიურად განაგრძობდა ნატოსთან თანამშრომლობას და ჩართული იყო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) იმპლემენტაციის პროცესში. საანგარიშო პერიოდში სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ნატოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის მენიუს (PCM), ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების

პროგრამისა (PDP) და ნატოს სამეკავშირეო ოფისის მიერ უსაფრთხოების მიმართულებით სხვადასხვა საკითხზე ორგანიზებულ ღონისძიებებში.

სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული ნატოს მობილური აპლიკაციებისა და ტერორიზმისგან თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებულ კურსებში, ჰიბრიდული საფრთხეებისა და საქართველოს მდგრადობის საკითხებზე გამართულ შეხვედრებში, ასევე, ღია წყაროების მონიტორინგის შესახებ ტრენინგში. გაიმართა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამასთან დაკავშირებით. ამასთან, სამსახურმა წარადგინა ინფორმაცია წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

უსაფრთხოებისა და სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით, სამსახურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ევროკავშირსა და მის სააგენტოებთან პარტნიორობის გაღრმავება. 2021 წელს სამსახური ჩართული იყო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტით გათვალისწინებულ არაერთ ღონისძიებაში. აღნიშნული პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, 2021 წელს სამსახურის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ინიციატივა - უსაფრთხოების ზამთრის სკოლა.

სამსახური ასევე აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ერთობლივ პროექტებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ (PGG II) პროექტის ფარგლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით.

სამსახურის შესაბამისი დანაყოფები, კომპეტენციის შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობდნენ ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის, ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გამართული მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ქვეკომიტეტის შეხვედრაში. ასევე მნიშვნელოვანი იყო სამსახურის ჩართულობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში.

ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით, სამსახური ეფექტურად განაგრძობდა საერთაშორისო პარტნიორებთნ ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში ჩართულობას. საქართველო არის „დაეშის“ წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის აქტიური წევრი მისი შექმნის საწყისი ეტაპიდან და აქტიურად მონაწილეობს კოალიციის

სხვადასხვა აქტივობაში. 2021 წელს სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გლობალური კოალიციის სამუშაო ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შეხვედრებში.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) პლენარულ სხდომებსა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში, ასევე გაეროს, ეუთოს, ინტერპოლის, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (GUAM) ეგიდით გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონულ სემინარებსა და ღონისძიებებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია გაეროს წევრი სახელმწიფოების კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელთა მაღალი დონის რიგით მეორე კონფერენცია, ეუთოს კონფერენცია ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის საკითხებზე, ასევე, ინტერპოლის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები უცხოელი ტერორისტი მებრძოლების შესახებ ინფორმაციის გაზიარების საკითხებზე.

მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარი პარტნიორები არიან ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები. ამ მიმართულებით, 2021 წელს, სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და ინიციატივების ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის შესაბამისმა დანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს „ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ინიციატივის“ (GICNT), „დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ გლობალური პარტნიორობის” (G7GP) და სხვა საერთაშორისო პლატფორმების პლენარულ სხდომებსა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

გასული წლების მსგავსად, სამსახური წარმატებით განაგრძობდა ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივასთან (CBRN Risk Mitigation CoE Initiative) თანამშრომლობას.

2021 წელს სამსახური, როგორც აღნიშნული ინიციატივის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული სამდივნოს მასპინძელი მხარე, ეფექტიანად ახდენდა სამდივნოს ფუნქციონირების ხელშეწყობას და რეგიონში წარმოდგენილ 10 ქვეყანას შორის ევროკავშირის ინიციატივის ფარგლებში მხარდაჭერილი აქტივობების კოორდინაციას.

აღნიშნულის შედეგად, საანგარიშო პერიოდში გაიმართა ათეულობით რეგიონული სემინარი, თემატური შეხვედრა, საველე და თეორიული სწავლება. ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა საექსპერტო გამოცდილების გაზიარება.

სამსახურის შესაბამისი წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით, 2021 წელს, ევროკავშირის აღნიშნული ინიციატივის მხარდაჭერით, დაიწყო ქბრბ უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხებზე რეგიონული პროექტის იმპლემენტაცია, ასევე, დამატებით

ინიცირებულ იქნა 2 მასშტაბური პროექტი, რომელთა განხორციელება სამომავლოდ არის გათვალისწინებული.

საანგარიშო პერიოდში ასევე მნიშვნელოვანი იყო გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორის ინსტიტუტთან ჩამოყალიბებული მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება. შავი ზღვის რეგიონში რადიოაქტიური და ბირთვული მასალების კონტრაბანდასთან ბრძოლის საკითხებზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ნორვეგიის მთავრობები, სამსახურმა უმასპინძლა ფართომასშტაბიან რეგიონულ სწავლებას საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას მონაწილეობით.

საქართველოს მიერ საერთაშორისო შეთანხმებებით და მრავალმხრივი კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, ქვემდებარეობას მიკუთვნებულ მიმართულებებსა და საკითხებზე, მოამზადა არაერთი ანგარიში. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავდა ინფორმაციას გაეროსა და ევროპის საბჭოს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით, გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით, ეუთოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

## *უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია*

უწყებათაშორისი თანამშრომლობის კუთხით, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა და ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო გარკვეული საფრთხეების მიმართ სახელმწიფო სტრუქტურებში ცნობიერების ამაღლების, ინფორმაციის გაცვლის, შესაბამისი კონტრზომების ეფექტური დაგეგმვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა მიზნებისკენ. არსებული თუ მოსალოდნელი საფრთხეებისა და გამოწვევების პრევენციის, მათზე დროულად რეაგირებისა და აღკვეთა-განეიტრალების პროცესში, ხშირ შემთხვევაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმებულ მოქმედებებსა და კოორდინირებულ გადაწყვეტილებებს.

საანგარიშო პერიოდში, კიდევ უფრო გაძლიერდა კოორდინაცია შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა მიმართულებაზე. წლის განმავლობაში გაიმართა არაერთი უწყებათაშორისი შეხვედრა და ერთობლივი ღონისძიება.

აღსანიშნავია სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროკურატურასთან, ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან. ამასთან, საგარეო საფრთხეების გამოვლენა-განეიტრალების კუთხით, ხაზგასასმელია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საქართველოს

დაზვერვის სამსახურებს შორის ოპერატიული და ანალიტიკური კუთხით არსებული თანამშრომლობის მექანიზმები.

| |
|---|
| მიმდინარეობდა ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების ინფორმირება სახელმწიფო უსაფრთხოების კონტექსტში იდენტიფიცირებული რისკებისა და გამოწვევების შესახებ. სამსახური პროაქტიულ რეჟიმში უზრუნველყოფდა აღნიშნულ საფრთხეებთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემას და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მოსაზრებების გაზიარებას, მათ შორის, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუშაობის ფარგლებში. |

საანგარიშო პერიოდში, სამსახური აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა უწყებათაშორისი კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, კერძოდ, ანტიკორუფციულ საბჭოში, ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის კომისიაში, ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საქმიანობაში, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილ უწყებათაშორის სამთავრობო კომისიაში, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელ უწყებათაშორის საბჭოში, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიებში და სხვა უწყებათაშორის მექანიზმებში.

იმავდროულად, საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად განაგრძობდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას და ჩართული იყო საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმისა და 2021 წლის მიგრაციის პროფილის შემუშავებაში, ასევე, მიგრაციის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხების მიმართულებით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში.

2021 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით, გაიმართა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის მეხუთე სხდომა. კომისიის წევრებს წარედგინათ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიში. ამასთანავე, სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ახალი ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის (2022-2026 წწ.) და მისი სამოქმედო გეგმის საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ.

კომისიამ, ასევე, იმსჯელა ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სათანადო განხორციელების ხელშესაწყობად უწყებათაშორისი კოორდინაციის კიდევ უფრო

გაძლიერების თაობაზე, მათ შორის, ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფის საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით. ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამსახურის მხრიდან მიმდინარეობდა მჭიდრო კოორდინაცია კომისიის წევრ ყველა უწყებასთან. ამავე დროს, აღნიშნულ პროცესში აქტიური კომუნიკაცია შედგა საერთაშორისო პარტნიორებთან, საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან, ისევე როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტიური კოორდინაციითა და ჩართულობით შემუშავებული ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების 2021-2030 წლების ეროვნული სტრატეგია. ამავე დროს, სამსახურის ხელმძღვანელობით, ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მოამზადა და დაამტკიცა აღნიშნული სტრატეგიის სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2023წწ.) სამსახური აქტიურად უწყობდა ხელს სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანების შესრულებას და საბჭოს წევრ უწყებებს შორის შესაბამის კოორდინაციას. ამავე დროს, საანგარიშო წლის განმავლობაში, სამსახურის ინიციატივით გაიმართა რამდენიმე უწყებათაშორისი შეხვედრა და ღონისძიება, მათ შორის, სხვადასხვა თემატური ტრენინგი და სწავლება.

მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო სტრუქტურებში გარკვეული საფრთხეების მიმართ ცნობიერების ამაღლების კუთხით გადადგმული ნაბიჯები. ამ მხრივ, აღსანიშნავია ევროპის საბჭოს „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" (PGG II) პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოებისა და თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებთან განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საჯარო მოხელეებისთვის ინფორმაციის მიწოდებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, კორუფციის პრევენციის როლსა და აღნიშნულ პროცესში მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე.

2021 წელს სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ორგანიზებით ჩატარებულ უწყებათაშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2021"-ში. აღნიშნული სწავლება საომარ და კრიზისულ სიტუაციებში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებასა და ურთიერთქმედების დახვეწას ისახავდა მიზნად.

| |
|---|
| საანგარიშო პერიოდში, ასევე მნიშვნელოვანი იყო სამსახურის მხრიდან უსაფრთხოების მიმართულებებზე მომუშავე დამოუკიდებელ ექსპერტებთან, ანალიტიკოსებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაზიარება და ამ მიმართულებით, სამსახურის მიერ ინიცირებული პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება და განვითარება. |

2021 წელს გაიმართა არაერთი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო-აკადემიური და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან. მათ შორის აღსანიშნავია, საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში,

სამსახურის ინიციატივით, ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის (საბჭო) შექმნა. აღნიშნულ პლატფორმაში სახელმწიფო უწყებებთან ერთად ჩართულია შესაბამის საკითხებზე მომუშავე ცხრა არასამთავრობო ორგანიზაცია. საანგარიშო პერიოდში, პლატფორმის ფარგლებში გაიმართა ორი შეხვედრა, რომლებზეც სამსახურმა სამოქალაქო სექტორს გააცნო ახალი ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის პროექტი და შემდგომ, მისი საბოლოო ვერსია.

2021 წელს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ფარგლებში, დაიგეგმა ცალკეული ერთობლივი ღონისძიებები ქბრბ უსაფრთხოების კონკრეტულ მიმართულებებზეც. ამასთან, სამსახურის მმართველობაში შემავალი სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ორგანიზებით, კიბერუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში გაიმართა სამუშაო შეხვედრა დარგის ექპერტებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

# მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის, მისი შემდგომი განვითარებისა და ინსტიტუციური მდგრადობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა. აღნიშნული მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ გატარდა შესაბამისი ზომები და გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები.

## *ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება*

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისას, სამსახურისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა და აღნიშნულ პროცესში როგორც მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი კადრების მაქსიმალურად შენარჩუნება, ასევე საუკეთესო კადრების მოზიდვა, მათი მოტივირება და კარიერულ წინსვლაში ხელის შეწყობა.

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა მოქმედი მოსამსახურეებისა და სამსახურში დასაქმების კანდიდატების თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფას. თანამშრომლები სარგებლობდნენ მაღალი სტანდარტების სამუშაო პირობებით და სათანადო სოციალური პაკეტით.

გასული წლების მსგავსად, საანგარიშო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პირადი შემადგენლობის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წახალისება და მოტივირება, მათთვის კარიერული წინსვლის შესაძლებლობების შექმნა და იმ მიმართულებით ხელშეწყობა, რაც შესაძლებელს ხდის პროფესიონალი კადრების უნარებისა და პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას. 2021 წელს სამსახურის მხრიდან სხვადასხვა ფორმით იქნა

წახალისებული 570-ზე მეტი მოსამსახურე, მათ შორის, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოსამსახურეთა საქმიანობა ხშირად გარკვეულ საფრთხეებსა და რისკებს უკავშირდებოდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დანერგილია მოსამსახურეთა შერჩევის, შეფასებისა და მომზადება-გადამზადების თანამედროვე სისტემა, რომელიც არსებით თანხვედრაშია ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან. აღნიშნული სისტემა შესაძლებელს ხდის კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობის ეფექტიანად განსაზღვრას კონკრეტული პოზიციით (საშტატო ერთეულით) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით. 2021 წელს შერჩევის სისტემას დაემატა სამსახურში მისაღები კანდიდატებისათვის ინგლისური ენის ან დასაკავებელი თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა უცხო ენის სავალდებულო ცოდნის კრიტერიუმი. ამასთან, ნატოს STANAG 6001 სტანდარტის მიხედვით დაინერგა ინგლისური ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტირება.

ადამიანური რესურსების მართვის პროცესში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მოსამსახურეთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, მათი პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების მუდმივ დახვეწა-გაუმჯობესებას, ისევე როგორც სამსახურში მისაღებ კანდიდატთა სათანადო მომზადება-გადამზადებას.

2021 წელს რამდენიმე ასეულმა თანამშრომელმა გაიარა სამსახურის სასწავლო ცენტრში დანერგილი ტაქტიკური და სპეციალური მომზადების პროგრამები, საორიენტაციო კურსები, ასევე სხვა სავალდებულო თეორიული და პრაქტიკული სწავლებები. სამსახური, ასევე, უზრუნველყოფდა თანამშრომელთა უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პირადი შემადგენლობის მომზადება-გადამზადებას სპეციალურ დისციპლინებში, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებს.

ამასთან, სპეციალურ დისციპლინებთან ერთად, სამსახურისთვის არსებითად მნიშვნელოვანია შესაბამისი დანაყოფების ანალიტიკური შესაძლებლობების ამაღლება. 2021 წელს სამსახურის ანალიტიკურმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სპეციალურ სასწავლო კურსში, შეხვედრასა და კონფერენციაში, მათ შორის, სტრატეგიული პარტნიორების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ღონისძიებებში.

ხაზგასასმელია ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის ქვეყნების, ევროკავშირისა და ნატოს მხარდაჭერა სამსახურის მოსამსახურეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში. აღნიშნული პარტნიორების დახმარებით, 2021 წელს უწყების სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული არაერთ მნიშვნელოვან მომზადება-გადამზადების კურსში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ტერორისტულ შემთხვევებზე, მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხეებსა და სხვა კრიზისულ სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით გამართული წვრთნები და ტაქტიკური სავარჯიშოები.

## *სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი*

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრში შეუფერხებლად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. აღნიშნული მიზნით და ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, დაინერგა დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების მეთოდი. ამასთან, 2021 წელს სასწავლო ცენტრში, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგა და უწყვეტად მიმდინარეობდა სასწავლო პროგრამების მონიტორინგი.

ცენტრი, როგორც სამსახურის შემადგენლობაში შექმნილი შედარებით ახალი სტრუქტურული ერთეული, განაგრძობდა მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარებას. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობდა მაღალკვალიფიციური ტრენერებისა და ინსტრუქტორების მოზიდვა, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების წრეებიდან, ასევე სამსახურის მოქმედი და ყოფილი თანამშრომლების პროფესიული რესურსების გამოყენების გზით.

ამავე დროს, 2021 წელს მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრსა და სხვადასხვა უწყებას შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება. საანგარიშო პერიოდში მსგავსი მემორანდუმები შემუშავდა და გაფორმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, ასევე, სამსახურის სასწავლო ცენტრსა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას შორის, რომელიც ცალკეული პროექტებისა და ღონისძიებების მიმართულებით თანამშრომლობას ითვალისწინებს, მათ შორის, უსაფრთხოების სექტორისთვის ერთობლივად შემუშავებულ ლიდერობისა და მართვის პროგრამას.

ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, სამსახური უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მომავალი კადრების სათანადო მომზადებას და ამ მიზნით, მოტივირებული, მაღალი ღირებულებებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდების მოზიდვას. 2021 წელს სამსახურის მხრიდან განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება და ინოვაციური პროექტი.

საანგარიშო პერიოდში, ევროკავშირთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა მნიშვნელოვანი და ინოვაციური პროექტი „უსაფრთხოების ზამთრის სკოლა", რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან შერჩეულმა, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 24-მა სტუდენტმა.

პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა, გაცნობოდნენ უსაფრთხოების გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ გამოწვევებს. ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა ახალგაზრდებს გაუზიარეს ინფორმაცია და გამოცდილება, თუ როგორ უმკლავდებიან საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი უწყებები არსებულ საფრთხეებს. პროგრამა ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა და თეორიული კურსები გამყარებული იყო პრაქტიკული აქტივობებით, სიმულაციებითა და გუნდური სავარჯიშოებით.

## *მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები*

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინსტიტუციური მდგრადობისა და სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები განაგრძობდნენ სხვადასხვა დანაყოფის სათანადო ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ტექნიკური და სხვადასხვა საშუალებების პერიოდულად განახლებასა და გაუმჯობესებას.

2021 წლის საბიუჯეტო სახსრებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 362 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 19 904 819 ლარი. ამავე წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადდა 183 ტენდერი, ხოლო ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 154 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, ჯამში, ეკონომიამ შეადგინა 388 773 ლარი.